გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 40
(11 497)

25 – 28 მაისი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენს სპორტულ სამყაროში

### «ლელოს» ნომრიდან ნომრამდე

საქართველოში გრძელდება „ნონას დღეები“. ეს ოფიციალურად არ ყოფილა დაგეგმილი, მაგრამ ერის საამაყო ქალბატონის საიუბილეო საღამომ ისეთი რეზონანსი გამოიწვია, იუბილე თავისთავად მოექცა საყოველთაო-სახალხო ყურადღების ცენტრში. ამის ერთი მკაფიო დასტური იყო თბილისში აჭარის წარმომადგენლობაში გამართული შეხვედრა, სადაც კიდევ ერთხელ მიაგეს ღირსეული პატივი ღირსეულ ქალბატონს.

უდავოდ საყურადღებო მოვლენა ხდება ამ დღეებში ჩვენს დედაქალაქში, სადაც მინიფეხბურთში სამინისტროებისა და უწყებების ტურნირი მიმდინარეობს. სპორტისკენ შემობრუნების იმედს გვისახავს ისიც, რომ „ლოკომოტივის“, მიხეილ მესხი სახელობის სტადიონის გახსნის დღეს, როგორც ამ დღეებში გახდა ცნობილი, ერთმანეთს შეხვდებიან საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის გუნდები. ვფიქრობთ, ამის შემდეგ უნდა გაადვილდეს სპორტის თემაზე და მის პრობლემებზე მსჯელობა ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებთან ქართული სპორტის სასიკეთოდ. სამწუხაროდ, ჯერ არ იგრძნობა განსაკუთრებული აქტიურობა „პრეზიდენტის თასზე“ ფეხბურთში ბავშვთა და მოზარდთა ტურნირების ჩატარებაში. ამ დღეებში მხოლოდ აქა-იქ იმართება ასეთი შეჯიბრებები I ეტაპზე — უშუალოდ სასკოლო დაწესებულებებში. როგორც ჩანს, საერთო კოორდინაცია მოისუსტებს...

# გაზეთის დაბეჭდვის წინ:



## კრამნიკი და კასპაროვი...

გუშინ ქ. ასტანში მიმდინარე მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე, ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს მე-14 და მე-13 ჩემპიონები. უშედავათო ბრძოლა ყაიმით დასრულდა. ორივე 3-3 ქულით კვლავ ლიდერობენ. ბორის გელფანდმა (ისრაელი) მოუგო ალექსანდრ მოროზევიჩს (რუსეთი) — 1:0. დარმენ სადვაკასოვი (ყაზახეთი), ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — ყაიმი. მესამე ადგილზეა გელფანდი — 2,5 ქულა.



გუშინ რადიოსადგურმა BBS-მ გაავრცელა ცნობა, რომ ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი 50 წლის კევინ კიგანი შეიძლება „მანჩესტერ სიტის“ ახალ მწვრთნელად დაინიშნოს. ამ კლუბის მწვრთნელი ჯო როილა გასულ ორშაბათს დაითხოვეს თანამდებობიდან გუნდის I დივიზიონში ჩამოქვეითების გამო.

## დარიო ფრიგო ლიდერობას ინარჩუნებს

„ჯირო დ,იტალია“-ს მრავალდღიანი ველორბოლის მეხუთე ეტაპი მოიგო იტალიელმა მრბოლმა ივან კარანტამ. მისი თანამემამულეები მარიო ჩიპოლინი და მორენო დი ბიაზე შესაბამისად მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ. საერთო ჩათვლაში ლიდერობას კი კვლავ ინარჩუნებს იტალიელი დარიო ფრიგო. მეორეა აბაამ ოლანო (ესპანეთი), მესამე — ჯილბერტო სიმონი (იტალია).




8



„ვალენსიის“ პრეზიდენტმა პედრო კორტესმა უარყო ხმები თითქოს კლუბის ნახევარმცველი მენდიეტა „მილანში“ აპირებდეს გადასვლას. „ეს სრული სიცრუეა, ამის შესახებ თავად ფეხბურთელმაც არაფერი იცის“ — თქვა კორტესმა. ამასობაში იტალიის პრესა დაბეჯითებით იუწყება, რომ „მილანი“ მზადაა მენდიეტაში 35-40 მილიონი დოლარი გადაიხადოს.

## კახი კალაძის ძმა გაუჩინარდა

წუხელ ინტერნეტის მეშვეობით გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იტალიის „მილანში“ მოთამაშე კახი კალაძის ძმა ლევან კალაძე თბილისში უგზო-უკვლოდ გაქრა. „სპორტ-ექსპრესის“ კორესპონდენტი თენგიზ პაჭკორია არაოფიციალური ვერსიით ამ ფაქტს ფულის გამოძალვის მიზნით გატაცებას უკავშირებს. ამავე წყაროს ცნობით, შსს-ს მაღალჩინოსნები ამ მონაცემებს არც ადასტურებენ და არც უარყოფენ. იგივე გაიმეორა წუხელ „რუსთავი-2“-ის ღამის „კურიერში“ საქართველოს შს მინისტრმა კახა თარგამაძემ და ზედმეტი კომენტარისაგან თავი შეიკავა.

## თურქები დათო ხმელიძით დაინტერესდნენ

საქართველოს ეროვნული ნაკრების 22 წლის მეკარეს დავით ხმელიძეს, რომელიც რუსეთის კლუბ „როსტსელმაშში“ თამაშობს, თავისთან ორი თურქული კლუბი ეპატიჟება. ფეხბურთელის განცხადებით, იგი შეხვდა „ფენერბახჩესა“ და „გაზიანთეფსპორის“ წარმომადგენლებს, მაგრამ კონტრაქტი ჯერ მხოლოდ „გაზიანთეფმა“ შესთავაზა.

## ეს იყო სილამაზის ნამდვილი დღესასწაული! 2



## სპორტის წყალთა სახეობები ჩვენში მაშველ რგოლს მოითხოვს! 2

## ფეხბურთი მეფემ – პელემ, ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად, ხმა ოლივერ კანს მისცა

## „ბავარიის“ ფეხბურთელებს ისე შეხვდნენ, როგორც გმირებს

ათასობით გულშემატკივარმა მოიყარა გუშინ თავი აეროპორტში და გამოვიდა მიუნხენის ქუჩებში, რათა ღირსეული პატივი მიეგოთ თავიანთი ფეხბურთელებისთვის, რომლებმაც წინა ღამეს ჩემპიონთა ლიგის თასი მოიპოვეს პარიზში „ვალენსიასთან“ გადამწყვეტ მატჩში გამარჯვებით. ევროპის ყველაზე პრესტიჟული თასი ბავარიელებმა მეოთხედ მოიპოვეს, როცა ფეხბურთელებმა, რომლებიც თვითმფრინავის ტრაპიდან გერმანიის მიწაზე ჩამოდიოდნენ, იქვე შენიშნეს ვეებერთელა თასი, რომელიც ლუდით იყო სავსე, ზოგიერთმა სიამოვნებით მოსვა კიდეც ცნობილი ბავარიული ლუდი ამ სასმისიდან.

ამით ბავარიელთა გზა არ დასრულებულა. მათ წინ უდევთ გზა ბერლინისკენ, სადაც გუნდს ქვეყნის კანცლერი გერხარდ შრედერი შეხვდება!

## კანცლერმა გერხარდ შრედერმა „ბავარიას“ მიულოცა

„ეს მთელი ერის და მთელი გერმანული სულის გამარჯვებაა, რამაც გააბედნიერა მთელი გერმანელი ხალხი“ — ნათქვამია კანცლერის მილოცვაში ბავარიელთა წარმატებასთან დაკავშირებით.

## მზია ჯუღელიდან – უსასრულობისაკენ

3

## ვართ თუ არა, ეროვნული განძის მფლანგველები





## კანი მსოფლიოში საუკეთესოა

ჩემპიონთა ლიგის ფინალში ოლივერ კანის თამაშმა ყველა ალაფრთოვანა, რაზეც ამ პატივცემულ პირთა გამონათქვამები ნათლად მეტყველებს.

„ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც

იხ. მე-5 გვ.

ჩემპიონთა ლიგა




6

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 3 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 8 თვე და 14 დღე გვაშორებს

8-24 თებერვალი 2002 წ.

# სად არის მაშველი რგოლი?

## ანუ იმის შესახებ, თუ როგორ გავაჩანეთ წყალს სპორტის საწყლოსნო სახეობები

საქართველოში სპორტის წყალთა სახეობების მდგომარეობა უკიდურესად შემაშფოთებელია. ფაქტობრივად, ჩვენს თვალწინ კვდება ტრადიციები და მინიმალურია იმის შანსი, რომ ახლო მომავალში ვითარება სასიკეთოდ შემობრუნდეს. უიმედობამ მოიცვა მწვრთნელთა კორპუსი, ისინი ტოვებენ სპორტს, სხვაგან ეძებენ სამუშაოს. ვინც დარჩა, ფანატიკოსები არიან და თუ რამ კიდევ შემოგვრჩა, ეს მათი დამსახურებაა, „ლაგუნა-ვერეს" აქციონერთა, ამ საწყლოსნო კომპლექსის და ფედერაციის ხელშეწყობით.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ფედერაციის პრეზიდენტმა და „ლაგუნა-ვერეს" დირექტორმა ვლადიმერ გოიაშვილმა, ერთხელ კიდევ მიაპყრო ყურადღება იმ პრობლემებს, რომელთა გადაჭრა სახელმწიფოს ჩაურევლად შეუძლებელია. ყველაზე ალმაშფოთებელი კი ის არის, რომ სპორტის ოთხივე ოლიმპიურ საწყლოსნო სახეობებში გვყავს ნიჭიერი სპორტსმენები და შეჯიბრებებში მათი მონაწილეობა არ ხერხდება, ზოგიერთი უცხოეთში ემზადება და ხაქართველოს ნაკრებში ჩამოყვანის გზის ხარჯებსაც არავინ იძლევა, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ. ასე იყო ამჯერადაც, როცა მოსკოვში წყალბურთელთა რუსეთის ღია პირველობაზე, ჩვენი გუნდის გასაძლიერებლად გერმანიიდან, უსახსრობის გამო ვერ ჩამოიყვანეს ნიჭიერი წყალბურთელი, ილია ბუთიკაშვილი. ჩვენი გუნდის მოსკოვში მიღწეულ წარმატებებზე ქვემოთ ცალკე მოგითხრობთ. რაც შეეხება პრესკონფერენციას, დიდი მცდელობის მიუხედავად, არანაირად არ მოხერხდა ყველა პრობლემის ერთ საგაზეთო წერილის ჩარჩოში მოქცევა, ამიტომ დროდადრო ცალკე ვილაპარაკებთ ყველა საკითხზე. რედაქციამ გადაწყვიტა საქართველოს სპორტის საწყლოსნო სახეობათა პრობლემები ცალკე რუბრიკით გააშუქოს გუშინდელი პრესკონფერენციის სულისკვეთებით.

**წყალბურთი | რუსეთის ღია პირველობა**

# კიდევ რას უნდა მიაღწიონ ჩვენმა ჭაბუკებმა, სხვათა თანადგომაც რომ იგრძნონ?



საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთათვის უცხო ქვეყნის ღია პირველობებში წარმატება წესად იქცა. სპორტის ამ სახეობაში მომუშავე ჩვენი მწვრთნელები უამრავი სიძნელის მიუხედავად, თითქმის საზოგადოებრივ საწყისებზე, თავდაუზოგავად მუშაობენ ნიჭიერ მოზარდებთან და სწორედ ეს განაპირობებს ჩვენების დიდ ავტორიტეტს. რუსეთისა და უკრაინის პირველობებში, დაგვეთანხმებით, მაჩანჩალა გუნდს არავინ მიიწვევს. სოსო მაისურაძის და ირაკლი კიკალიშვილის შეგირდებმა, როგორც ადრე ვწერდით, რუსეთის ჭაბუკთა ღია პირველობის ფინალურ ეტაპზე გააღწიეს. მუდამ იდგა ფინანსების პრობლემა და მართლა საცოდაობა იქნებოდა, ბიჭები დასკვნითი მატჩების სათამაშოდ რომ არ წაეყვანათ. არ გაინტერესებთ საიდან იშოვნეს გასამგზავრებელი თანხა? ამჯერადაც ისესხეს, მაგრამ დღეს ვინ გენდობა თუ ავტორიტეტული და პირიანი კაცი არ ჩადგა შუაში? საბედნიეროდ, ასეთი პიროვნება ამჯერადაც გამოჩნდა.

მოკლედ, რჩეულები მოსკოვში შეიკრიბნენ. ასპარეზობის ავტორიტეტი და სპორტული ყინი რომ აემაღლებინათ, ორგანიზატორებმა არაორდინარული ნაბიჯი გადადგეს – იმ 16 გუნდის საუკეთესო წყალბურთელებს, რომელთა გუნდები ფინალური ეტაპის მიღმა დარჩნენ, უფლება მისცეს უძლიერესთა რიგებში ეთამაშათ, თუ რომელიმე გუნდი ამაზე თანახმა იქნებოდა. ასეც მოხდა: „იმ გუნდებს, რომლებსაც ადრე შევხვდით, ახლა ველარ ვცნობდით, ისე ძლიერად გამოიყურებოდნენ, ახალი ძალების დამატებით" – გვითხრა ს. მაისურაძემ.

ჩვენს გუნდს, ცხადია, არავინ დაუმატებია, მაგრამ მაინც ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეებს. ჯერ ნიჟნი-ნოვგოროდის, აზერბაიჯანის, „ბურევესტნიკის" გუნდებს სძლიეს შესაბამისად: 11:3, 11:4, 8:2; შემდეგ უძლიერესთა ოთხეულში, სადაც გამარჯვებული და პრიზიორები უნდა გამოვლენილიყვნენ, მოსკოვის „ბურევესტნიკს" 6:5 აჯობეს, ცსკა-ს – 8:7, „შრომით რეზერვებს" – 5:2 და უძლიერესის სახელი მოიპოვეს, მეორე ადგილზე გავიდა მოსკოვის „ბურევესტნიკი", მესამეზე – ცსკა.

ჩვენი ნაკრები „ლაგუნა-ვერეს" სახელით ასპარეზობდა. ყველა წყალბურთელი ამ საწყლოსნო კომპლექსთან არსებული ბავშვთა წყალბურთის სკოლის აღსაზრდელია. დღეს ეს სკოლა ერთადერთია ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ფაქტობრივად მუშაობს და წყალბურთელთა მომავალ თაობას ზრდის.

გაგაცნობთ გამარჯვებული გუნდის შემადგენლობას: ზურაბ ჭუმბურიძე, ლადო გურგენიძე, სანდრო შარაშიძე, ოთარ ქოიავა, ავთანდილ ბაზაძე, ირაკლი ბაზაძე, გიორგი ჩუბინიძე, გიორგი ჩხეიძე, დავით კალანდაძე, ლევან კვარაცხელია, გურამ კატარია, ზურაბ რურუა, ზურაბ ანთელავა, თამაზ მანძულაშვილი (ზურაბ რურუა და ოთარ ქოიავა წარსულში ცნობილი წყალბურთელების შვილები არიან).

**თ. თომაშვილი**

**ფარიკაობა | აჭარის ჩემპიონატი**

# აჭარის მუშკეტერები ქვეყნის ჩემპიონობას უმიზნებენ



პირად ჩემპიონატში 40-მდე ქალმა და ვაჟმა მოფარიკავემ იასპარეზა. შეჯიბრება ჯერ წრიული, შემდეგ ოლიმპიური სისტემით წარიმართა.

10 რაპირისტი ქალიდან ფინალში დები რუსუდან და ელენე საფარიძეები გავიდნენ. 15:13 გაიმარჯვა უმცროსმა დამ — ელენემ. მესამე ადგილი თინა ბოლქვაძეს ხვდა. ვაჟთაგან (12 მონაწილე) ფინალში ძველი მეტოქეები ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური კოლეჯის მეორე კურსის სტუდენტი ირაკლი ჭელიძე და ბათუმის მე-3 საშუალო სკოლის X კლასელი ანდრეი ბრაკალოვი დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ერთი ქულის უპირატესობით 15:14 გაიმარჯვა ჭელიძემ. მესამე იყო მამუკა კახიძე (ბათუმის მრავალდარგობრივი სამეცნიერო ცენტრის კოლეჯი).

ხმლით შეჯიბრებაში ბადალი არ ჰყავდა საქართველოს ოთხგზის ჩემპიონს, ბათუმის 21-ე სკოლის X კლასელ ირაკლი ზამბახიძეს, რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა. მეორე ადგილი ხვდა გოგიტა ბერიძეს (პედაგოგიური კოლეჯი), მესამე — იმედა გათენაძეს (სახელმწიფო უნივერსიტეტი).

აღსანიშნავია, რომ საფარიკაო ბილიკზე გამოვიდა ვეტერანი სპორტსმენი და ამჟამად მწვრთნელი, 46 წლის გია ცნობილაძე, რომელიც უძლიერესი იყო დაშნით ასპარეზობაში. მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს ანდრეი აკაევმა და თემურ თოფურიამ (სამივე — ბათუმი). ამ სახეობაში, ქალთა პაექრობაში, ადგილები ასე განაწილდა: თამუნა სიხარულიძე, თამუნა დავითაძე, ციალა ხუხუნაიშვილი (სამივე — ბათუმის მე-2 სკოლა).

„საუკეთესო მუშკეტერებისაგან" დაკომპლექტდა ავტონომიური რესპუბლიკის ნაკრები, რომელიც ივლისის შუა რიცხვებში თბილისში, საქართველოს პირად-გუნდურ პირველობაში იასპარეზებს.

„ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ გუნდური გამარჯვება. მთავარი კონკურენტი დედაქალაქელი მოფარიკავეები იქნებიან. პირად ჩათვლაში რამდენიმე პირველ ადგილს ვგეგმავთ" — თქვა აჭარის ფარიკაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა თენგიზ მორჩილაძემ.

**ოთარ მურვანიძე,**
„ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი.
ბათუმი

# შინაარსითაც გალამაზებული ასპარეზობა



სამგორის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (შეჯიბრების მასპინძელი), საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის, ისან-სამგორის რაიონის სპორტკომიტეტის და კლუბ „ვარკეთილის" თაოსნობით ამ კლუბის ღია ჩემპიონატი კუმიტეში ამჯერად მეორედ ჩატარდა 8-დან 18 წლამდე სპორტსმენთა მონაწილეობით. თბილისელთა გარდა ახალციხის, კასპის, მცხეთის და სამაჩაბლოს წარმომადგენლები ჩაერთვნენ ასპარეზობაში. სპორტსმენთა დასტატობის სრულყოფასთან ერთად, შეჯიბრება მსაჯთა მომზადების დონის ამაღლებასაც ისახავდა მიზნად (მთ. მსაჯი თემურ ცქიტიშვილი), რაც ერთგვარი სიახლეა და მისასალმებელია. ასე იქნება მომავალშიც. და შეჯიბრება ტრადიციულად ყოველთვის მაისში გაიმართება, წლეულს, ივლისში, კლუბი თავისი წევრებისთვის ბაზალეთში ჩაატარებს შეკრებას. ესეც ერთგვარი სიახლეა, მით უფრო, როცა მოზარდებისთვის ზაფხულში ორგანიზებული დასვენების ძველი სისტემა მოიშალა. კლუბის ვიცე-პრეზიდენტი მალხაზ აბრამიშვილი კმაყოფილია იმ თანადგომით, რასაც ზემოხსენებული ორგანიზატორი ორგანიზაციები ასეთი მასშტაბური ღონისძიებების ჩატარებისადმი ავლენენ.




***გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს. 8-9 წწ:*** 1. გიორგი ბაბილაშვილი, 2. დათო ბექანიშვილი, 3. სერგო ჯანაშია და ილია აღდგომელაშვილი; ***10-11 წწ:*** 1. უჩა ხაჩიური, 2. ირაკლი გიორგაძე, 3. ლოვა თუმანიანი და გიორგი ქოჩურაშვილი; ***12-13 წწ:*** 1. დავით კანდელაკი, 2. დავით ტყებუჩავა, 3. გოჩა ხარაიშვილი და დავით თვალჭრელიძე; ***14-15 წწ:*** 1. ირაკლი ტყებუჩავა, 2. გოჩა მჭედლიძე, 3. თორნიკე ჩაჩანიძე და სერგეი კულიანი; ***16-17 წწ:*** 1. ჯუმბერ ჯოჯუა, 2. ავთანდილ ადეიშვილი, 3. ლევან ლომიძე.

დიპლომების, მედლებისა და ფასიანი საჩუქრების გარდა, რჩეულებს გადაეცათ სპეციალური პრიზები.

**სპორტული ცეკვები | კავკასიის თასი**

# დიდი და დაუვიწყარი დღესასწაული



გათამაშებული პრიზები

საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნულმა ფედერაციამ (პრეზიდენტი თენგიზ გაჩეჩილაძე) ამ დღეებში გრაციის კიდევ ერთი დიდი და ლამაზი დღესასწაული აჩუქა თბილისელებს. მ. კეკელიძის სახელობის საკალათბურთო დარბაზში „კავკასიის თასის" ტრადიციულ გათამაშებაში, თავიანთი მაღალი ხელოვნება წარმოაჩინეს საქართველოს, უკრაინის, რუსეთის, ბელორუსიის, აზერბაიჯანის, სომხეთის სამეჯლისო ცეკვების 200-მდე გამორჩეულმა წყვილმა.

საგულისხმოა, რომ რაც დრო გადის, ამ კონკურსის ავტორიტეტი სულ უფრო მაღლდება და მასში მონაწილეობას ღირსების საქმედ მიიჩნევს სპორტული ცეკვების უცხოეთის ელიტა. წლევანდელი კონკურსი განსაკუთრებით შთამბეჭდავი გამოდგა მაყურებლისთვის, რაშიაც დიდი წვლილი შეიტანა მისი წამყვანი ინფორმატორის, გამოჩენილი სპეციალისტის ლარისა გაჩეჩილაძის არტისტიზმთან შეზავებულმა წიგნიერებამ.



დავით კულუმბეგაშვილი — ია კვირიკაშვილი

***გაგაცნობთ გამარჯვებულებს. 6-8 წწ. 6 ცეკვა:*** ლევან ხოჭოლავა — ნინო გელაშვილი (საქ); ***8-9 წწ. იუვენალები I. 8-9 წწ. ევროპული ცეკვები:*** რატი გაჩეჩილაძე — ქეთი ალავერდაშვილი (საქ); ***8-12 წწ. 4 ცეკვა:*** ვალერი — ბეგლარიშვილი — ლიკა ჯოხაძე (საქ); ***9-13 წწ (მოზარდები):*** დათო მაისურაძე — თინიკო ცხოვრებაძე; ***ლათინურ-ამერიკული ცეკვები:*** ილგარ ტალიბოვი — ანა ბირიუკოვა (აზერ); ***იუვენალი II 10-11 წწ.*** (ორი პროგრამის ჯამით): დენის ხოხლოვი — ინარა გასანოვა (აზერ); ***იუნიორი I. 12-13 წწ ევროპული ცეკვები:*** ივანე ხრუსტალიოვი — იულია ხალიპოვა (უკრ); ***ლათინურ-ამერიკულ ცეკვებში:*** პაატა ჩუტკერაშვილი — ლაურა ქველიძე (საქ); ***იუნიორი II. 14-15 წწ. ევროპული ცეკვები:*** გოგიტა გონგაძე — მზია ორველაშვილი (საქ); ***ლათინურ-ამერიკულ ცეკვებში:*** რაფაელ ანანიკიანი — ლიკა ჭაბუკიანი (საქ.); ***16-18 წწ. ახალგაზრდები, ორივე პროგრამით:*** გიორგი ბაბაიანი — ვარდუი ალექსანიანი (სომხ); ***უფროსები. ევრ. ცეკვების პროგრამა (სამეული):*** 1. დავით კულუმბეგაშვილი — ია კვირიკაშვილი, 2. მამუკა ბახტაძე — მაგდა ჯიბლაძე, 3. ზურაბ კიკაბიძე — თინიკო გუგავა (სამივე წყვილი — საქ) ***უფროსები. INTERNATIONAL OPEN. ლათ. ამერ. ცეკვები;*** 1. დმიტრი ვლოხი — ოლია ურუმოვა (უკრ), 2. გიორგი ტაბატაძე — თათული გოგიშვილი (საქ), 3. გიორგი ბაბაიანი — ვარუდი ალექსანიანი (სომხ); ***ჰობი კლასი. 6 ცეკვა:*** დავით წიგნაძე — სოფიო კუპრეიშვილი (საქ); ***ჰობი კლასი. 8 ცეკვა:*** ბაჩო ტყემალაძე — ნინო ქოთოლაშვილი (საქ).

***გუნდური შეჯიბრება. „კავკასიის თასი":*** 1-2 ადგილები — საქართველო, 3 სომხეთი.

*რობერტ ბაგოიანის ფოტოები.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები



## მზია ჯუღელიდან — უსასრულობისაკენ

ჯერ კიდევ ამ 30 წლის წინათ, იმ დროისათვის მეტად აქტუალური დისკუსია გაიშალა თემაზე: „სპორტი, საზოგადოება, ადამიანი, სპორტსმენი". პოლემიკამ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები მოიცვა. ვინ აღარ გამოთქვამდა მოსაზრებას, ყველა მათგანი, მეტნაკლებად, XXI საუკუნეს გადასწვდა, თუმცა წინ ჯერ კიდევ მთელი სამი ათწლეული იყო. დიალოგი საბჭოთა სპეციალისტებმა წამოიწყეს, მაგრამ დუმილით არც უცხოელებს – მათ შორის იუნესკოს გენერალურ მდივანს რენე მაიოს აუვლიათ გვერდი ამ თემისთვის.

ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ერთ დასკნაზე, რომელიც მაშინ ბევრმა გაიზიარა: „არის სპორტის სახეობები, რომლებიც არასდროს დაბერდებიან, არასდროს მოსწყინდება მათი ცქერა ადამიანებს, მუდამ დატკბებიან ნატიფი ხელოვნებთ, ასეთთა შორისაა უპირველესად, ტანვარჯიში".

გაუძლო თუ არა ამ ვარაუდმა დროის გამოცდას და რა ხიბლით შეაბიჯა ტანვარჯიშმა XXI საუკუნეში? ამ კითხვაზე, ცხადია, არავის გასჩენია იმაზე უკეთესი პასუხი, ვიდრე ეს, როგორც იტყვიან, საქმით დაამტკიცა გასული საუკუნის ილიმპიურმა თამაშებმა სიდნეიში. თითქოს სიმბოლურიც იყო ასეთი დამთხვევა. ტანვარჯიშმა მთელი სიდიადით წარმოაჩინა თავისი ბრწყინვალება უმაღლესი დონის ოსტატთა შესრულებით, ეს იყო ჭეშმარიტი ხელოვნების ჰარმონია დროსა და სივრცეში, მაგრამ ახალი სიმაღლეები ჯერ კიდევ დასაპყრობია და ამას, ეჭვი არაა, ახალ საუკუნეში შეძლებს მისი უდიდებულესობა – ტანვარჯიში!

ალბათ, უადგილო სულაც არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ტანვარჯიშის ხალხური საწყისები კაცობრიობის დასაბამიდან იღებს სათავეს, გამოიარა მონათმფლობეულრი წყობილება და გამორჩეულად „აყვავდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-VI საუკუნეებში, ანტიკურ ელადაში, განსაკუთრებით, სპარტასა და ათენში".

სპორტის სახეობად ტანვარჯიშის ჩამოყალიბება იწყება XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან. პირველი შეჯიბრება ჩეხეთში ჩატარდა, მაგრამ მაშინ არანაირი წესები არ მოქმედებდა. უკვე 1881 წელს ევროპის ტანვარჯიშის ფედერაცია შეიქმნა, 1903 წელს კი ჩამოყალიბდა მსოფლიო ფედერაცია, რომელიც თავის პირველობებს სისტემატურად ატარებდა.

ოლიმპიური თამაშების პროგრამაში ტანვარჯიში 1912 წელს შეიტანეს, იმ პერიოდში, როცა საქართველოში სპორტის ეს სახეობა უცხო რამ კი არ არის, არამედ უკვე საერთაშორისო სარბიელზე ვართ აღიარებული. სწორედ 1912 წელს, ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა გაიოზ ბერელაშვილმა და გიორგი ეგნატაშვილმა პრაღის საერთაშორისო ტურნირზე მაყურებელი მაღალი ოსტატობით მოხიბლეს და „საპატიო ადგილებიც დაიკავეს". მაგრამ ამ აღიარებას ხანგრძლივი და დაუღალავი ზრუნვა უსწრებდა წინ საქართველოში ტანვარჯიშის დანერგვისთვის. ყველაფერი კი 1889 წლიდან დაიწყო, როცა თბილისის გიმნაზიის დირექციამ, ტანვარჯიშის მასწავლებელთა გამოგზავნის თხოვნით მიმართა პრაღის „სოკოლს". გავა ერთი წელიწადი და თბილისში ჩამოსული ჩეხი გრუმლიკი ტანვარჯიშში მასობრივი გამოსვლის დემონსტრირებას მოახდენს საჯაროდ. შემდეგ ტანვარჯიში თითქმის მთელ საქართველოს მოედო, სადაც საქმეს უკვე თავად ქართველებიც უძღვებოდნენ ჩეხ სპეციალისტებთან ერთად.

XX საუკუნის 20-30-იან წლებში საქართველოში აღიზარდდნენ ტანვარჯიშის შესანიშნავი ოსტატები. საფუძვლები ეყრება ქალთა ტანვარჯიშს, იხვეწება პროგრამა.

თუკი სპორტის რომელიმე სახეობის ტრადიციაზე ითქმის ჩვენში ხანდაზმული, მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი ტანვარჯიშია, სპორტის სხვა სახეობებთან შედარებით, როგორც ვნახეთ, ეროვნული ტანვარჯიში საერთაშორისო სარბიელზე ერთ-ერთი პირველი გავიდა 1912 წელს. ბუნებრივია, ტრადიციებს და თაობათა ნაღვაწს არ ჩაუვლია უკვალოდ – ჩვენი პლანეტის ყველაზე პრესტიჟულ სპორტულ ფორუმში – ოლიმპიურ თამაშებში, სპორტის ამ სახეობაში, ვაჟიც გვყავს ჩემპიონი და ქალიც. მაგრამ პირველი ქალი იყო – მედეა ჯუღელი – XV ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში და მეორე პრიზიორი მხატვრულ ტანვარჯიშში რგოლებით ასპარეზობაში

1952 წელი, ჰელსინკი, 15 ივლისი – 3 აგვისტო. XV ოლიმპიური თამაშები. ეს თარილი ახალი ეპოქის დასაწყისია თანამედროვე ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში. ფრანგი ბარონის პიერ დე კუბერტენისა და მისი თანამოაზრეების თავგამოდებული მცდელობით, ანტიკური ეპოქის შემდეგ XIX საუკუნის მიწურულს (1896 წ) აღორძინებულმა ოლიმპიურმა მოძრაობამ ახალი მძლავრი შენაკადი შეიძინა. ეს იყო საბჭოთა კავშირი თავისი უკიდეგანო სივრცით და, შესაბამისად, ასევე უკიდეგანო სპორტული მოძრაობით. საქართველო ამ სივრცეში მუდამ შთამბეჭდავად იყო წარმოდგენილი და, როგორც ლოგიკური შედეგი, მის ავანგარდში – ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში მუდამ შეჰქონდა წონადი წვლილი.

... ნებისმიერ მოვლენას თავისი დასაწყისი აქვს. ადრე თუ გვიან, საქართველოს ოლიმპიური მოძრაობა, ქვეყნის დამოუკიდებლობის კვალდაკვალ, თავად გახდებოდა სრულუფლებიანი წევრი საერთაშორისო ოლიმპიურ ოჯახში. ეს იმედი ისევე ცოცხლობდა და გადადიოდა თაობიდან თაობაში, როგორც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეა. ანალოგი მუდამ საკმაო იყო. თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული, დროდადრო სწორედ ახალწარმოქმნილი დამოუკიდებელი ქვეყნების ხარჯზე განუხრელად იზრდებოდა ჩვენი პლანეტის ოლიმპიური ოჯახი.

საქართველოს ოლიმპიური ნათლობა საბჭოთა ნაკრებში 1952 წელს შედგა. თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორიაში, პირველად სწორედ იმ წელს, ჰელსინკში უნდა ჩაევლოთ ქართველებს ოლიმპიადის საზეიმო გახსნის ალლუმზე, მერე ამას უნდა მოჰყოლოდა სპორტულ სარბიელზე პირველი ქართული გვარის გამოცხადება, პირველი შეჯიბრება და, რაღა თქმა უნდა, ოცნება პირველ წარმატებაზე...

*გაგრძელება იქნება*

### პრობლემა ხმაურობს

# ვართ თუ არა, ეროვნული განძის მფლანგველები

***ქართველმა ხალხმა ისტორიულად ოდითგანვე შექმნა მრავალი ისეთი ფიზიკური ვარჯიში, სპორტული თუ მოძრავი თამაშები, რომლებმაც გაუძლეს ჟამთა ქარტეხილებს და საუკუნეთა მანძილზე ქართველი ხალხის ფიზიკური სრულყოფის სამსახურში იდგა.***

***რა უნდა გაკეთდეს XXI საუკუნეში ჩვენი ამ ეროვნული საგანძურის დასაცავად, რა გზით უნდა ვაზიაროთ მომავალი თაობები მის სიკეთეს? გვესაუბრება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის გამგე ბიული ქახიძე.***



– ოდითგანვე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ქართული ხალხური საშუალებები მრავალფეროვან ხასიათს ატარებდა. ეს იყო დოღი, ყაბახი, თარჩია, მარულა, ცხენბურთი, მკერდაობა, ცხენნი და სხვა, თავისი მრავალი ვარიანტებით, ეს იყო ჩვენში ფართოდ გავრცელებული ქართული ჭიდაობა, ხევსურული ფარიკაობა, მშვილდოსნობა, ნადირობა, სიმძიმეების აწევა-გადატანა, ვარჯიშები გადაძალვაზე, მდიდარი ფონდი მოძრავი თამაშებისა, მრავალგვარი ფიზიკური ვარჯიშებისა, რომლებიც უძველესი დროიდან ქართველი ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში იდგა, ყოველმხრივ ამაღლებდა მათი ფიზიკური მომზადების დონეს, სრულყოფდა, ხვეწდა და ამტკიცებდა მოლაშქრეთა სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას. ვისაც უთამაშია თუნდაც ლახტი, გრძელი ოთურმა, მრგვალი ოთურმა, გაკვრა-გაქცევა, დავლაობა, ტამფაობა, ნიშხა-ნიშხა და მრავალი სხვა, არ დაავიწყდება მათგან მიღებული სიკეთე – ამბობს რესპოდენტი.

● ***ქალბატონო გიული, ფაქტს ვერსად გავექცევით, საბჭოთა წლებში, საქართველოში, ეროვნული ტრადიციები ყველა მიმართულებით აღორძინდა. გამონაკლისი არც ფიზიკური აღზრდის ხალხური საშუალებები ყოფილა. მეთანხმებით?***

– რა თქმა უნდა, გეთანხმებით. ჯერ კიდევ ახლო წარსულში მოზარდი თაობა, ახალგაზრდობა (და არა მარტო ახალგაზრდობა) დიდი გატაცებით მისდევდა ფიზიკური აღზრდის ეროვნულ სახეობებს. საქართველოს ყველა რეგიონში, ყველა ქალაქსა თუ სოფელში მომავალი თაობა იზრდებოდა ფიზიკური აღზრდის ეროვნულ სპორტულ თუ მოძრავ თამაშებზე, რისთვისაც გამოიყენებოდა ეზო, მინდორი, ანდა, სპეციალურად მოწყობილი ადგილები. იგეგმებოდა მასობრივი ღონისძიებები. მთელ რიგ სახეობებში ტარდებოდა რესპუბლიკური შეჯიბრებები, საქართველოს ჩემპიონატები სპორტის ოსტატის გამოსავლენად და ა.შ. ხალხურ სახეობებში სისტემატური ვარჯიშობა თავისთავად ხელს უწყობდა მასობრივ სპორტის განვითარებას ქვეყანაში, რაც ჯანმრთელობის განმტკიცების შესანიშნავი საწინდარია, ამჟამად ყოველივე ეს დავიწყებას მიეცა.

● ***დღევანდელი მდგომარეობის შესახებ თუ გაქვთ მონაცემები?***

– სამწუხაროდ, დღეს საქართველოს არც ერთ რაიონში ქართულ ჭიდაობაშიც კი, არც ერთი სექცია არ მუშაობს. მთავრობას, ზემდგომ ორგანოებს, არ აინტერესებთ მათი ბედი. კარგა ხანია, არც ჭაბუკთა პირველობა და არც საქართველოს ჩემპიონატი არ ჩატარებულა ამ სახეობაში იშვიათი გამონაკლისის გარდა. 1998 წელს მაისურაძეების საგვარეულო კავშირმა დააფინანსა საქართველოს აბსოლუტური ფალავნობა თბილისში, ხოლო 1999-2000 წ. ლევან თედიაშვილის თაოსნობით ჩატარდა საქართველოს აბსოლუტური პირველობა. დღეს სადმე სოფელში, ანდა, იშვიათად სპეციალურად გამართულ ღონისძიებებში თუ ნახავთ რომელიმე თამაშს, ანდა ქართულ ჭიდაობაში და ეროვნული სპორტის სხვა სახეობებში მოვარჯიშეს, არადა, რამდენი სიკეთის მოტანა შეუძლიათ მათ დღეს.

● ***თუ იცით, იგივე მდგომარეობაა დღეს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებშიც?***

– ყველაზე ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ვიცი, რა ვითარებაა რუსეთში. მაგალითად, რუსული თამაშების განვითარების ფონდის დირექტორი, ვ. ვინოგრადოვი თავის წერილში „ვისი თამაშები უნდა ვითამაშოთ" (გაზეთი – „სპორტი ყველასათვის" №3 (237). 11.2001 წ.) განგაშს ტეხს რუსული ხალხური თამაშების მივიწყების გამო. „დროა რუსეთის მთავრობა შემობრუნდეს რუსული თამაშებისკენ. გვეყო რუსული ფულის ხარჯვა ამერიკული კალათბურთის, ინგლისური ფეხბურთის, კანადური ხოკეის განვითარებაზე, დროა ვიფიქროთ საკუთარი ხალხის თამაშობათა ტრადიციებზე" – წერს იგი. არც ჩვენს მთავრობას აწყენდა ყურად ეღო ეს რჩევა და ეზრუნა ფიზიკური კულტურისა და სპორტის ქართული ხალხური ტრადიციების აღსადგენად და იმ მდიდარი საგანძურის შესანარჩუნებლად, რამაც დიდი წვლილი შეიტანა ერის ფიზიკურ გადარჩენაში. დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა ამ ამოცანას, ამასთან, ნუ დაგვავიწყდება რა როლს თამაშობს იგი ისეთი მავნე ჩვევების წინააღმდეგ, როგორიცაა: ლოთობა, ნარკომანია, სქესობრივი გახრწნილობა და სხვ., რომელსაც ასევე გულმოდგინედ გვახვევენ თავს. ამას ყველაფერს ჯანსაღი ცხოვრების წესით უნდა შევებრძოლოთ.

● ***სურვილი კარგია, საიდან და როგორ უნდა დავიწყოთ პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა?***

– ფიზიკური აღზრდის ქართულ ხალხურ საშუალებებს განსაკუთრებით ფართო ასპარეზი უნდა მიეცეს სკოლებში. დასამალი არ არის, რომ დღეს სკოლაში ფიზიკური აღზრდა ვერ წყვეტს მის წინაშე დასმულ მიზანსა და ამოცანებს.

ბოლო წლებში საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა მწვავე დაღი დაასვა მოზარდი თაობის ფიზიკურ აღზრდას. მეცადინეობები ფიზიკურ აღზრდაში, თუნდაც გაკვეთილი, მით უმეტეს, სხვა საშუალებები, ფორმალურ ხასიათს ატარებს. ზამთრის პირობებში სკოლებში თითქმის ივიწყებენ ფიზიკურ აღზრდას. მეცადინეობები მოკლებულია შემოქმედებითობას, მრავალფეროვნებას. გაკვეთილები სტანდარტულად ტარდება. თითქმის ერთსა და იმავე მასალას სთავაზობენ სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს. დარბაზები, სპორტული მოედნები მოკლებულია სათანადო იარაღ-ინვენტარს. ამის თაობაზე სრულიად მართებულად ატეხა განგაში გაზეთმა „ლელომ" რუბრიკით: „მოზარდი თაობის ჯანმრთელობა საფრთხეშია!".

● ***თქვენი კარგად გვესმის, მაგრამ დღეს ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ იქცა ტკბილ მოგონებად, გაჭირდა ცხოვრება, ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვამ უკანა პლანზე გადაიწია...***

– სამწუხაროდ, იმ შესაძლებლობებსაც ვერ ვიყენებთ, რაც გაგვაჩნია. ანდა, ჩვენი წინაპრები, თუნდაც ყველაზე ძნელბედობის ჟამს, უარს ამბობდნენ ხალხურ ტრადიციებზე? პირიქით, ყველაფერში მიზეზის ძიება და ყველა უბედურების გამართლება კარგს არაფერს მოგვიტანს.

დღეს სასკოლო ასაკის მოზარდთა ჯანმრთელობა საფუძვლიანად რომ შემოწმდეს, წინასწარ შეიძლება ითქვას, სავალალო მდგომარეობას წავაწყდებით. და აქ მთელ რიგ მიზეზებთან ერთად, სკოლაში ფიზიკური აღზრდის უგულებელყოფა წამოიწევს წინა პლანზე. უნდა გაიზარდოს გაკვეთილების რაოდენობა. სპორტის კანონით გათვალისწინებული კვირაში ოთხი გაკვეთილიც კი საოცნებო გახდა. ყოველდღიურად უნდა ტარდებოდეს ფიზკულტურული ღონისძიებები სასწავლო დღის რეჟიმში და სხვ. მეცადინეობათა ყველა ფორმაში ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული ფიზიკური აღზრდის ქართული ხალხური საშუალებები. გადამუშავებას მოითხოვს სასკოლო პროგრამა ფიზიკურ აღზრდაში.

● ***ჩვენს სკოლებში, სამაგიეროდ, ფართოდ მოიკიდა ფეხი აღმოსავლური ორთაბრძოლების ამა თუ იმ სახეობამ. როგორ ფიქრობთ, ეს გარკვეულწილად არ ავსებს მოზარდთა ფიზიკური მომზადების ვაკუუმს?***

– უცხოურისადმი ზღვარდაუდებელი მიდრეკილება არ მიმაჩნია გამართლებულად, ჯერ შენი და, თუ საჭიროა, მერე – სხვისი! ჩვენი თამაშები და ფიზიკური სრულყოფის ხალხური საშუალებები, ჩვენი ბუნებიდან, ხასიათიდან, ცხოვრების წესიდან მოდის, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

არა მხოლოდ სკოლებში, ქართულ ჯარშიც გამალებით ნერგავენ აღმოსავლურ ორთაბრძოლებს. ეს მაშინ, როცა არაერთი სახეობა გვაქვს, რომლის შესწავლა მოკლე დროში უკეთეს შედეგს მისცემდა ჩვენს ჯარისკაცებს.

ვიმეორებ, ეროვნული თამაშები და სპორტის სახეობები ჩვენი საზრუნავია, ჩვენი მისახედია. დღეს, როცა ფასიანი გახდა სპორტის საერთაშორისო სახეობებში ბავშვების მეცადინეობა, განსაკუთრებით გვმართებს დაფიქრება, ეროვნული თამაშები და სპორტის სახეობები ხომ ყველასათვის ხელმისაწვდომია.

დაბოლოს, რუსეთის მსგავსად, საქართველოშიც უნდა შეიქმნას ქართული თამაშების განვითარების ფონდი.

ესაუბრა
თ. თომაშვილი





საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სამსახური

# დამთავრდა, მშვიდობით, მომავლის იმედით!

დამთავრდა XII ეროვნული ჩემპიონატი. ფორტუნამ ყველა კლუბს მიუჩინა კუთვნილი ადგილი. დადგა განსჯისა და ანალიზის ჟამი. საქართველოს ძველი, ახალი ჩემპიონი ჰყავს. „ტორპედომ" შარშანდელი მიღწევა გაიმეორა და ახლა იგი ორგზის ჩემპიონია. გუნდი, რომელმაც მიუხედავად გარკვეული ჩავარდნებისა პირველ ეტაპზე, შემდგომში ყველაზე უკეთ იასპარეზა, სტაბილურად განვლო დასკვნითი ეტაპი და ღირსეულად მოიპოვა პირველობა. მეორე ეტაპი, ფაქტობრივად, ჩააგდო თბილისის „ლოკომოტივმა", არადა, რა ჩინებულად დაიწყეს რკინიგზელებმა, პირველი ეტაპი ექვსი ქულის უპირატესობით მოიგეს და ძალიან პესიმისტიც ვერ იტყოდა, რომ ისინი ჩემპიონები არ გახდებოდნენ. ასე კი მოხდა. ნოდიას შეგირდებმა ბოლო ორ ტურში მოგებული მატჩებით გამოასწორეს მდგომარეობა, თორემ ბრინჯაოც სანატრელი გაუხდებოდათ. რკინიგზელებისა არ იყოს, წლევანდელ სეზონში თბილისის „დინამოში" დიდი ცვლილებები მოხდა. შეიცვალა ხელმძღვანელობა, შემადგენლობა თითქმის მთლიანად გაახალგაზრდავდა. თუმცა შინაურ სარბიელზე მრისხანება გუნდს არ დაუკარგავს და რომ არა „ლოკომოტივთან" განცდილი მარცხი, ვერცხლი ალალი იქნებოდა, მაგრამ ბოლოს „დინამო" ბრინჯაოთი დაკმაყოფილდა. მეორე ეტაპზე გამარჯვებათა რაოდენობით „ვიტ ჯორჯია" მხოლოდ „ტორპედოს" ჩამორჩა, თუმცა მეტი წინსვლისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ახლა კარნევალეს და მის გუნდს კარნავალის მოწყობა მომავლისთვის მოუწევთ, ალბათ ინტერტოტოზე.

ფოთის „კოლხეთსა" და თბილისის „მერანზე" ბევრი არაფერი ითქმის. არასტაბილურობა – აი, ამ ორი გუნდის დამახასიათებელი წლეულს. იგივეს თქმა შეიძლება ბათუმის „დინამოზე". ზღვისპირელები მაშინ გამოცოცხლდნენ, როცა ლიგიდან გავარდნის საშიშროება იგრძნეს. დანარჩენების „წელგათრეული" ბურთაობა და შესაბამისი დაბალი ადგილები სატურნირო ცხრილში. აღსანიშნავი განვლილ ჩემპიონატში მატჩების დაძაბულობაა. იყო საინტერესო მატჩებიც, ლამაზი გოლებიც, იმედგაცრუებაც და სიხარულიც. მოკლედ, მისაღები და მიუღებელიც. ოთხი გუნდი გარიგებული თამაშებისთვის შერისხეს, ერთი პირველი ლიგის გათამაშებიდან მოიხსნა. მთავარი კი ისაა, რომ გაიმარჯვა უძლიერესმა, შემადგენლობითაც და თამაშითაც გამორჩეულმა გუნდმა. დასრულებულ ჩემპიონატს დევიზად ერთი ანდაზაც გამოადგებოდა – „იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის".

უმაღლეს და პირველ ლიგაში პირველი ეტაპის ვერც ერთმა ლიდერმა ბოლოს პირველობა ვერ შეინარჩუნა, ვერც „ლოკომოტივმა", რაზეც უკვე ვილაპარაკეთ და ვერც წნორელთა „მილანმა" პირველ ლიგაში. ახლა ორ თვეს შევისვენებთ. ხვალ თასის ფინალს უმასპინძლებს ლამაზად მორთულ-მოკაზმული „ლოკომოტივის" 30 ათასიანი სტადიონი და ევროტურნირების დასაწყისს დაველოდებით. მაშ ასე, „ტორპედო" ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, „ლოკომოტივი" და „დინამო" – უეფას თასზე, „ვიტ ჯორჯია" ინტერტოტოზე. უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნეს ბათუმის დინამომ, ბოლნისის „სიონმა" და რუსთავის „გორდამ". აღზევდნენ „ლოკომოტივს" მიერთებული ლანჩხუთის „გურია" და ზესტაფონის „მეტალურგი". გადასასვლელ მატჩს 27 მაისს „შევარდენის" სტადიონზე ითამაშებენ გორის „დილა" და წყალტუბოს „სამგურალი". პირველ ლიგაში დაქვეითდნენ თსუ და სამტრედიის „იბერია". პირველი ლიგის სამ მაჩანჩალას, რეგიონებში დაწინაურებული გუნდები შეცვლიან. მწვრთნელებს, ფიქრისთვის, გუნდების გაძლიერებისთვის საკმაო დრო აქვთ. თვალის დახამხამებაში ახალი სეზონი, XIII ეროვნულიც დაიწყება.

**მიხეილ საბახტარიშვილი**

## საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა, X ტური

#### I–VI ადგილები

ვიტ ჯორჯია — დინამო (თბ) 0-0
ლოკომოტივი — ტორპედო 1-0
კოლხეთი1913 — მერანი 91 0-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 10 | 6 | 2 | 2 | 15-7 | 44 |
| ლოკომოტივი | 10 | 3 | 4 | 3 | 8-9 | 41 |
| დინამო (თბ) | 10 | 3 | 5 | 2 | 13-9 | 38 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 4 | 4 | 2 | 14-9 | 35 |
| კოლხეთი1913 | 10 | 2 | 2 | 6 | 10-19 | 24 |
| მერანი91 | 10 | 1 | 3 | 6 | 2-15 | 19 |

#### VII–XII ადგილები

იბერია — გორდა 0-3
დილა — სიონი 2-1
თსუ — დინამო (ბთ) 3-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დინამო (ბთ)** | **10** | **5** | **3** | **2** | **13-7** | **32** |
| **სიონი** | **10** | **5** | **2** | **3** | **14-12** | **27** |
| **გორდა** | **10** | **5** | **2** | **3** | **16-13** | **26** |
| **დილა** | **10** | **5** | **1** | **4** | **19-11** | **25** |
| **თსუ** | **10** | **4** | **1** | **5** | **11-17** | **23** |
| **იბერია** | **10** | **0** | **1** | **9** | **7-26** | **3** |



ბომბარდირი – რობერტ ზირაქიშვილი („დინამო" თბ.) – 21 გოლი



## პირველი ლიგა • X ტური

#### I–VI ადგილები

სამგურალი — მილანი 2-0
გურია-ლოკ2 — ცხინვალი 2-0
შუქურა — მეტალურგი 1-3

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია-ლოკ-2 | 10 | 6 | 2 | 2 | 15-9 | 41 |
| მეტალურგი | 10 | 5 | 2 | 3 | 12-12 | 38 |
| სამგურალი | 10 | 5 | 3 | 2 | 13-7 | 38 |
| მილანი | 10 | 5 | 1 | 4 | 16-7 | 37 |
| ცხინვალი | 10 | 2 | 3 | 5 | 9-15 | 29 |
| შუქურა | 10 | 0 | 3 | 7 | 4-19 | 23 |

#### VII–XII ადგილები

კოლხეთი (ხ) — დინამო (ზ) 3-0
ოკეანე — თბილისი 3-0 (თბილისი არ გამოცხადდა)
თორი — ივერია 1-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი (ხ) | 10 | 6 | 1 | 3 | 18-10 | 32 |
| თორი | 10 | 6 | 2 | 2 | 11-8 | 32 |
| ოკეანე | 10 | 6 | 3 | 1 | 17-7 | 31 |
| ივერია | 10 | 5 | 2 | 3 | 23-9 | 25 |
| თბილისი | 10 | 4 | 0 | 6 | 7-15 | 21 |
| დინამო (ზ) | 10 | 0 | 0 | 10 | 0-28 | 12 |

*რეგიონულ ლიგაში დაქვეითდნენ – „დინამო", „თბილისი", „ივერია".*

## ტექნიკური შედეგები

### დილა – სიონი 2-1

***დილა:*** თ. ილურიძე, გ. ჩიტაია, ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, თაყაძე (გოგინაშვილი 73), მაისურაძე, ფეზუაშვილი (ლომიძე 70), რევაზიშვილი, ხორგუაშვილი, ეჯოშვილი (ბოკერია 60).
***სიონი:*** დალაქიშვილი (შეყლაშვილი 46), კ. გოდერძიშვილი, ირემაშვილი, სიდამონიძე, სოლოღაშვილი, ამბიძე (ცენჭოშვილი 55), მოსეშვილი, მინდიაშვილი, კ. მეტრეველი, ისიანი, ჩაგელიშვილი.
***გოლი:*** 1-0 ჩიტაია (25), 2-0 ბოკერია (66), 2-1 ჩაგელიშვილი (89).
***გააფრთხილეს:*** ჩიტაია.
***მსაჯი:*** ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

### იბერია – გორდა 0-3

***იბერია:*** ცინაძე, შ. ლაცაბიძე, ქვანია, სანიკიძე (ლ. ვაშაკიძე 65), მიქელთაძე, ჩაჩუა (გ. ნოზაძე 46), გულორდავა, ლ. ხმალაძე, კაკაშვილი (ყურაშვილი 46), ჭიაბრიშვილი, ივეჩიანი.
***გორდა:*** ბედიაშვილი, კედელაშვილი, ბერიძე, ა. გელაძე, ლაშა სილაგაძე, ზ. ლაბაძე, მელაძე, თ. მეტრეველი, ჯუღელი, კ. ალადაშვილი (გ. მიქაძე 76), კიტეიშვილი (მიშველაძე 76). გოლები: 0-1, 0-2 ლაბაძე (2, 71), 0-3 კიტეიშვილი (89).
***გააფრთხილეს:*** გელაძე.
***მსაჯი:*** მეშკოვი (თბილისი).

### თსუ – დინამო (ბთ) 3-0

***თსუ:*** მამარდაშვილი, ჭრაშვილი, ფირცხალაიშვილი, ბერიანიძე, ჯობავა, შოშიაშვილი (ლობჟანიძე 77), დათუნაიშვილი, მერებაშვილი (ზ. მეტრეველი 46), მესხი, ბეროშვილი (მინჯია 87), ბ. ნოზაძე.
***დინამო:*** ი. ბალაძე, პაპიძე, მინდაძე, გველესიანი, მჟავანაძე, გ. ქორიძე, ლლონტი, ქაცარავა (სიამაშვილი 46), დარჩიძე, რომანაძე (ტუსკია 64), აფხაზავა.
***გოლები:*** 1-0 ბეროშვილი (11), 2-0 შოშიაშვილი (68), 3-0 ნოზაძე (85).
***გააფრთხილეს:*** მჟავანაძე, ნოზაძე, ბერიანიძე, აფხაზავა.
***მსაჯი:*** ა. შილაკაძე (თბილისი).

### ლოკომოტივი – ტორპედო 1-0

***ლოკომოტივი:*** ლომაია, ბალაშვილი, ცხადაძე (დათვაძე 57), სალუქვაძე, ზ. ლაცაბიძე (ბაქრაძე, 32), ონიანი, გილაური, ჰიჭვეიშვილი, ანჩაბაძე, გოგიჩაიშვილი, კაიდარაშვილი (გ. შენგელია 73).
***ტორპედო:*** ზოიძე (ტოგონიძე 46), ლევან სილაგაძე, თოდუა, ვაშაკიძე, აბრამიძე, ქემოკლიძე, გუჩუა (ც. კვეტენაძე 37), ასათიანი, მახვილაძე (ჯინჭარაძე 41), აშვეთია, იმედაძე.
***გოლი:*** 1-0 გოგიჩაიშვილი (35).
***მსაჯი:*** ზ. ანიაშვილი (გორი).

### კოლხეთი1913 – მერანი 0-0

***კოლხეთი:*** მ. გვასალია, გოროზია (ხუჭუა, 80), ნარსია, აკობია, ქობულაძე, ფანჩულიძე, კვირკველია, ღლანიძე (ჭანტურიძე, 73), წივწივაძე, ბაჩილავა (შავგულიძე 33), მუმლაძე.
***მერანი:*** ნაჭყეპია, გ. ილურიძე, გუჯაბიძე, ხუჯაძე, მუხინი, ბაჯელიძე, ბოლქვაძე, ხუციშვილი, კოშკაძე (თოლორდავა 82), კრავეიშვილი, მინაშვილი. 25-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა ხუციშვილმა.
***გააფრთხილეს:*** ბოლქვაძე.
***მსაჯი:*** დ. სანაია (სოხუმი).



### ვიტ ჯორჯია – დინამო (თბ) 0-0

***ვიტ ჯორჯია:*** ჰურაძე, საჯაია (ადამია 65), ჰანკოტაძე, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, გოგობერიშვილი, ყიფიანი, ვ. გოჩაშვილი (გ. ქორიძე, 3, წუწუნავა 77), მელქაძე.
***დინამო:*** ბათიაშვილი, სვანაძე, შაშიაშვილი, მაზიაშვილი, კანდელაკი, მანწკავა, გაბიდაური (ბ. შელია 80), ბურდული, ა. სახვაძე, იაგორაშვილი (თუთარაშვილი 65), ზირაქიშვილი (გ. მიქაძე 56).
***გააფრთხილეს:*** იაგორაშვილი, მუჯირი, მანწკავა, დილმელაშვილი, ყიფიანი, სახვაძე, მელქაძე.
***გააძევეს:*** ყიფიანი.
***მსაჯი:*** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).

## საქართველოს თასი

**ხვალ ვაკეში ქართული ფეხბურთის წლევანდელი დამაგვირგვინებელი მატჩია. თასის ფინალში ოქროს მედალოსანი „ტორპედო" და ვერცხლით მკერდდამშვენებული „ლოკომოტივი" შეებმება ერთმანეთს. ყველაფერი ტრადიციულია, შეხვედრის დღე, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების თარიღი, 26 მაისი, შარშანდელი ფინალისტები, უჩვეულო მატჩის ჩატარების ადგილია. თასის ფინალი პირველად ტარდება „ლოკომოტივზე", ამას დაუმატეთ სტადიონის გახსნის ცერემონიაც და მიზეზიც გასაგები იქნება.**

შარშან „ლოკომოტივმა" პენალტებით მოუგო „ტორპედოს", მას ამჯერადაც მცირე უპირატესობა აქვს, თბილისელები საკუთარ სტადიონზე მიიღებენ ქუთაისელებს. ერთგვარი წინა სათასო რეპეტიცია ორი დღის წინ შედგა. გოგიჩაიშვილის ჩინებული გოლით რკინიგზელებმა მოიგეს ჩემპიონატის ბოლო მატჩი. მაგრამ ეს შეხვედრა უკვე წარსულია, წინ კი ფინალია, რომელსაც თავისი ლაზათი და პეწი აქვს. „ტორპედოს" რევანში აქვს ასაღები, თასიც ჩვენიაო დაიქადნეს ჩემპიონებმა. დუბლი სასურველია, ძნელი შესასრულებელია მხოლოდ. უშეღავათო ბრძოლის მომსწრენი ვიქნებით ალბათ. ერთი სანუკვარი პრიზის შენარჩუნებას შეეცდება, მეორე მის მოპოვებას. ორი საუკეთესო ქართული კლუბი გამოვა ხვალ გამშვენიერებული სტადიონის ხასხასა მინდორზე. კარგი სანახაობა გველის. მობრძანდით და ნახეთ, 18 საათზე ვაკეში.



თასისთვის ბრძოლაში ორივე გუნდი მეთექსმეტედფინალიდან ჩაება. „ლოკომოტივმა" თანმიმდევრულად დაამარცხა „თორი", „გურია-ლოკ2", „სამგურალი" და „მერანი". „ტორპედომ" – „ლაზიკა", ბათუმის „დინამო", „კოლხეთი1913" და „ვიტ ჯორჯია". გავიხსენოთ შარშანდელი ფინალის მცირე სტატისტიკაც: თბილისი. 26 მაისი. 2000 წ. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 10.000 მაყურებელი. „ლოკომოტივი" – „ტორპედო" 0-0. პენ. 4-2.

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, მიქაძე, აბრამიძე (რუსია 80), ჩიხრაძე, გოგიჩაიშვილი, კვარაცხელია, ჰიჭვეიშვილი, ჯუღელი (გ. ჩხაიძე 88), ხიზანიშვილი, მ. ჯიშკარიანი.
**ტორპედო:** ზოიძე, იონანიძე, მახვილაძე (შეყრილაძე 99), თურმანიძე, ხვადაგიანი, ახვლედიანი, კვეტენაძე, გოგიაშვილი, დ. ჯანაშია (მ. ასათიანი 82), იმედაძე (მეგრელაძე 46), ჩხეტიანი.
***პენალტები გაიტანეს:*** ბალაშვილმა, გოგიჩაიშვილმა, ხიზანიშვილმა, ჯიშკარიანმა; კვეტენაძემ, მ. ასათიანმა.
***გააფრთხილეს:*** ხიზანიშვილი, ჰიჭვეიშვილი, გოგიჩაიშვილი, ხვადაგიანი, კვეტენაძე, მახვილაძე, შეყრილაძე.
***მსაჯები:*** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი). ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში).

# მსოფლიო ფეხბურთის ცინცხალი ამბები

## ექტორ კუპერზე ნადირობაა




„ვალენსიას“ მთავარი მწვრთნელის ექტორ-რაულ კუპერის გადმობირებას „ბარსელონა“ და „ინტერი“ ცდილობს. მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი ესპანურმა კლუბმა მოიგო, რომელმაც მწვრთნელთან პირველადი კონტრაქტი გააფორმა, მაგრამ არგენტინელი სპეციალისტი წლიურ გასამრჯელოდ მილიარდ პესეტს (5,5 მილიონი დოლარი) ითხოვს, რაც „ბარსელონას“ პრეზიდენტის ჟოან გასპარტის განმარტებით, ძალიან ბევრია. საქმეში იტალიური კლუბი მილანის „ინტერი“ ჩაერთო. მილანელთა პრეზიდენტს მასიმო მორატის ფულის რაოდენობა ბევრად არ აინტერესებს და თანახმაა კუპერის მოთხოვნა თანხის რაოდენობაზე დააკმაყოფილოს კიდეც, მაგრამ იტალიელისა და არგენტინელის ურთიერთობას ერთი გარემოება უშლის ხელს. „ბარსელონადან“ მილანში გადასვლის უფლება კუპერს „ბარსელონას“ პრეზიდენტმა გასპარტმა უნდა მისცეს.

## დაიღუპა „ბარსელონას“ ყოფილი მეკარე

**ხუთშაბათს ტრაგიკულ ატმოსფეროში, ავტოკატასტროფაში დაიღუპა „ბარსელონას“ ყოფილი მეკარე ეროვნებით ბასკი ხავიერ ურუტიკოეჩეა, რომელიც „ურუტის“ სახელით უფრო იყო ცნობილი. თამაშობდა „რეალ სოსიედადში“, „ესპანიოლში“, 1981-88 წლებში „ბარსელონაში“, სადაც ის ანდონი სუბისარეტამ შეცვალა.**

**ურუტიკოეჩეა 5-ჯერ იყო ესპანეთის ჩემპიონი, 1984 წელს მოიგო ლეგენდარული მეკარის ზამორას პრიზი.**

## ესნაიდერი შეურაცხჰყვეს

არგენტინელი ფეხბურთელი ხუან ესნაიდერი იტალიის „იუვენტუსის“ კუთვნილებაა და ესპანეთის „სარაგოსას“ ღირსებას იჯარის უფლებით იცავს. გუნდი გასავარდნ ზონაშია, რაშიც ესპანური კლუბის გულშემატკივართა აზრით, უპირველესად, არგენტინელია დამნაშავე. ამის გამო ესნაიდერს ხშირი კონფლიქტი აქვს კლუბის ქომაგებთან, ერთ-ერთს სულაც გვარიანად ეჩხუბა. თუმცა, არგენტინელი დამნაშავედ თავს არ გრძნობს და მის მიმართ წარმოთქმულ ყველა ბრალდებას უარყოფს. „ჟურნალისტები მხოლოდ ჩემს მოქმედებას აკრიტიკებენ. გულშემატკივართა შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს კი ყურადღებას არც აქცევენ“. ფეხბურთელმა ბოდიში მოიხადა, რაც მხოლოდ შვილების ხათრით გააკეთა. – „შვილები რომ არა, ბოდიშს არ მოვიხდიდი, მე მათთვის მაგალითი უნდა ვიყო“ – თქვა ხუანმა. როგორც ჩანს, ესნაიდერს „სარაგოსაში“ თამაშის არანაირი სურვილი აღარ აქვს.

## კანი მსოფლიოში საუკეთესოა

*(პირველი გვერდიდან)*

***ბეკენბაუერი:*** „ის დიდებულია. ფინალისკენ მიმავალ გზაზე მან არაერთხელ გვიხსნა ხიფათისაგან, კანი მსოფლიოში საუკეთესოა. „ვალენსიასთან“ მატჩში ოლივერმა საკუთარ თავს აჯობა“.

„ბაიერნის“ დირექტორი ***კარლ-ჰაინც რუმენიგე:*** „მე დარწმუნებული ვიყავი, რომ ის გამარჯვებასთან მიგვიყვანდა“.

***გაზეთი „კორიერე დელო სპორტი“:*** — ეს გუნდი 70-იანი წლების „ბაიერნს“ ჰგავს, მაგრამ მან იცის როგორც ითამაშოს ევროპული ფეხბურთის გრანდებთან და 25 წლის შემდეგ იგი კვლავ ევროპის საკლუბო ჩემპიონია. კანმა სამი პენალტი მოიგერია და „მიუნხენის ოქტომბრის დღესასწაული მას უნდა მიეძღვნას“.

## „ევერტონის“ ფინანსური ოპერაციები

**მას შემდეგ, რაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან კონტრაქტი ჩაუფლავდა, „ევერტონს“ მოუწევს გაყიდოს რამდენიმე ფეხბურთელი, რათა იყიდოს — ახალი. „ჩვენ ის-ის იყო ხელი უნდა მოგვეწერა 23 მილიონ ფუნტზე კონტრაქტისთვის, მაგრამ ყველაფერი ჩაგვეშალა. არავინ, ჩემს გარდა, არ ზრუნავს კლუბის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე“ — აცხადებს „ევერტონის“ ფინანსისტი ბილ კენრაიტი. ეს კაცი, გარიგების ჩაშლის მიუხედავად, იმედს არ კარგავს, რომ მოიძიებს თანხებს და ახალი სტადიონის მშენებლობის სურვილსაც რეალობად აქცევს. „მთავარია ავაშენოთ სტადიონი, მერე მილიონები თავისით მოვა და პრობლემების ნახევარს მაინც თავისუფლად გადავჭრით. ვეყო, ჩვენ არ უნდა ვიქცეთ ისეთ კლუბად, რომელიც მხოლოდ ყიდის თავის ფეხბურთელებს“ — დასძენს კენრაიტი.**

ინგლისის „უოტფორდის“ ახალ მწვრთნელს ჯანლუკა ვიალის სურვილი გაუჩნდა თავის გუნდში იხილოს „ვესტ ჰემის“ ნახევარმცველი პაოლო დი კანიო და კლუბის ხელმძღვანელობა მზადაა გაიხადოს 3 მილიონი ფუნტი სტერლინგი.

## გუშინ, „ფეიენოორდი“ ასე ზეიმობდა ჰოლანდიის თასის ფინალში, პსვ-სთან მატჩის შემდეგ, პენალტებით გამარჯვებას!




**გერმანელმა სპეციალისტმა იუპ ხაინკესმა შეიძლება ჩაიბაროს ესპანეთის „ატლეტიკის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი, სადაც ის ერთხელ უკვე მუშაობდა 1992-94 წლებში. ხაინკესმა ჯერ მხოლოდ განზრახულებათა კონტრაქტს მოაწერა ხელი. 1994 წლის შემდეგ იგი „აინტრახტში“ და მადრიდის „რეალში“ მუშაობდა. ბასკთა ახლანდელმა მწვრთნელმა ჩეჩუ როხომ ვადამდე ერთი წლით ადრე დატოვა კლუბი.**

**მოსალოდნელია** „ჩელსის“ ურუგვაელი მოთამაშე გუსტავო პოიეტი შეიძლება „უოტფორდში“ ახლადდანიშნული მწვრთნელის ჯანლუკა ვიალის პირველი შენაძენი გახდეს. ტრანსფერზე დაყენება თავად მოითხოვა ურუგვაელმა. ვიალი და პოიეტი კარგად იცნობენ ერთმანეთს, ვიალის „ჩელსიში“ მუშაობიდან.



*მარჯვნივ — ალბერცი*

**გერმანელმა** ნახევარმცველმა იორგ ალბერცმა 3-წლიან შეთანხმებას მოაწერა ხელი ყოფილ თავის გუნდთან „ჰამბურგთან“. აქამდე ის თამაშობდა შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსში“. გარიგების თანხა 4,26 მილიონი დოლარია.

„ჰამბურგში“ ალბერცი 1993-96 წლებში თამაშობდა, შემდეგ კი შოტლანდიაში გადავიდა და ბოლო ხუთი წელიწადი „რეინჯერსში“ გაატარა.

„ბედნიერი ვარ, რომ ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, როგორც იქნა, საბოლოო შეთანხმებამდე მივედით, ვფიქრობ, იორგი შეძლებს ისევე დაეხმაროს ჩვენს გუნდს, როგორც ამას ადრე აკეთებდა“, — თქვა ჰამბურგის შეფმა ხოლგერ ხირონუმსმა.

# ბავშვთა ფეხბურთი



*ბადრი ნაკაშიძე მშობლიურ რაიონში*



*ზესტაფონის გამგებელი ჯემალ გორგოძე საჩუქარს გადასცემს ნიკა ნაკაშიძეს*

## ბიზნესმენი ეხმარება მშობლიურ რაიონს

### მოსკოვში მოღვაწე ბადრი ნაკაშიძემ ზესტაფონში ფეხბურთში მოსწავლეთა სარაიონო პირველობა ჩაატარა

ბადრი ნაკაშიძე ზესტაფონის რაიონის სოფელ ალავერდიდანაა, ხშირად ჩადის მშობლიურ მხარეში და ყოველთვის რაიმე დასამახსოვრებელ კეთილ საქმეს აკეთებს. მშობლიურ სოფელში ჯერ საფეხბურთო მოედანი მოაწყო და შემოღობა, სკოლას სპორტული ფორმა აჩუქა, ამ დღეებში სტუმრობისას კი რაიონის მოსწავლეთა პირველობა ჩაატარა ფეხბურთში „ალავერდის“ თასზე. 7 ზონაში გამარჯვებულებმა ფინალურ ეტაპზე ისპარეზეს, საპრიზო ადგილები კი ოთხმა რჩეულმა გაითამაშა, ჯერჯერობით სოფლის სკოლებმა. აქ ალავერდის და ზედა საქარის მოსწავლეები შეხვდნენ ერთმანეთს. თასი ალავერდელებმა მოიგეს. 26 მაისს კი ქალაქის №6 და №7 სკ . ები გაითამაშებენ თასს. შემდეგ ალავერდელები ქალაქში გამარჯვებულს სუპერ თასზე შეხვდებიან. აღსანიშნავია, რომ ალავერდის გუნდში ითამაშა ბადრი ნაკაშიძის 13 წლის ვაჟმა ნიკამ, რომელიც მოსკოვში „ლოკომოტივის“ ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში ოსტატდება მწვრთნელ ალექსანდრ სტეპანჩუკთან, რომელსაც ნიკა ძალიან ემადლიერება. „მე ქართველი ვარ, მიყვარს საქართველო, მინდა მომავალში გამოვადგე ქართულ ფეხბურთს“ — ამბობს ნიკა.

ზესტაფონის რაიონის გამგებელმა ჯემალ გორგოძემ სამახსოვრო საჩუქარი გადასცა პატარა თანამემამულეს და უთხრა: „არ დაივიწყო ვისი გორისა ხარ, შენში ხომ ქართული სისხლი სჩქეფს, გაისარჯე საქართველოს სადიდებლად!“

სოფლის სკოლების ფინალურ შეხვედრას ესწრებოდნენ ვეტერანი ფეხბურთელები გურამ პეტრიაშვილი, ვლადიმერ ბარქაია, იუზა ნიკოლეიშვილი, იმერეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები.



***მოსკოვის „ლოკომოტივის“ ნორჩი ფეხბურთელი ნიკა ნაკაშიძე***

*„ლელოს“ კორ. ზესტაფონი*

## ლობანოვსკიმ კანდიდატები შეარჩია

უკრაინის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვალერი ლობანოვსკიმ დაასახელა ის ფეხბურთელები, ვინც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მოემზადებიან: ***მეკარეები:*** ალექსანდრ შოვკოვსკი („დინამო“), იური ვირტი („შახტარი“), მაქსიმ ლევიცკი („სპარტაკი“, რუსეთი); ***მცველები:*** ვლადისლავ ვაშჩუკი, ალექსანდრ გოლოვკო, სერგეი ფიოდოროვი, იური დმიტრულინი (ყველა — „დინამო“), ოლეგ ლუჟნი („არსენალი“, ინგლისი), მიხაილ სტაროსტიაკი („შახტარი“), ალექსანდრ გრანოვსკი, დმიტრი პარფიონოვი (ორივე — „სპარტაკი“, რუსეთი); ***ნახევარმცველები:*** ვასილი კარდაში, არტიომ იაშკინი, ვიტალი ლისიცკი (ყველა — „დინამო“), სერგეი პოპოვი, ანატოლი ტიმოშჩუკი, გენადი ზუბოვი (ყველა — „შახტარი“), სერგეი მიზინი, („მეტალისტი“), ანდრეი კარიაკა („კრილია“, რუსეთი). ალექსანდრ სპივაკი („ზენიტი“, რუსეთი); ***თავდამსხმელები:*** ანდრეი შევჩენკო („მილანი“, იტალია), სერგეი რებროვი („ტოტენჰემი“, ინგლისი), ალექსანდრ მელაშჩენკო („დინამო“), ანდრეი ვორონეი („შახტარი“). უკრაინის ნაკრები 2 და 6 ივნისს ორ მეტოქეს შესაბამისად ნორვეგიას და უელსს შინ მიიღებს.

## ლიბერდატორესის თასი

დასრულდა ლიბერტადორესის თასის გათამაშების მეოთხედფინალის პირველი მატჩები. რამდენიმე შეხვედრაში მოულოდნელი შედეგები აღინიშნა. ძალიან გაუჭირდა შარშანდელ ფინალისტს ბრაზილიის „პალმეირასს“, რომელმაც თანამემამულე „კრუზეიროსთან“ მატჩში ლოპესის ბოლო წუთზე გატანილი გოლით მხოლოდ ფრეს მიაღწია. არგენტინის სახელოვანმა „რივერ პლეიტმა“ დიდი უპირატესობის მიუხედავად, ერთხელაც ვერ დალაშქრა მექსიკის „კრუს ასულის“ კარი. აქაც ფრე, 0-0 დაფიქსირდა. ბრაზილიურ-არგენტინული დაპირისპირება არგენტინელების გამარჯვებით დასრულდა, „ბოკა ხუნიორსმა“ „ვასკუ და გამას“ გასვლაზე ერთი ბურთის სხვაობით მოუგო.

***მეოთხედფინალის პირველი მატჩები:***

***„რივერ პლეიტი“ (არგენტინა) — „კრუს ასული“ (მექსიკა) 0-0***

***„პალმეირასი“ (ბრაზილია) — „კრუზეირო“ (ბრაზილია) 3-3***

***„ვასკუ და გამა“ (ბრაზილია) — „ბოკა ხუნიორსი“ (არგენტინა) 0-1***

საპასუხო შეხვედრები ოთხშაბათს გაიმართება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა

# პენალტებით დაიწყო, პენალტებით დამთავრდა





## ბაიერნი (გერმანია) – ვალენსია (ესპანეთი) 1-1 პენალტებით 5-4

23.05. იტალია. მილანი. სან სიროს სტადიონი. 85 ათასი მაყურებელი
**ბაიერნი:** კანი, სანიოლი (იანკერი, 46), ლიზარაზუ, კუფური, ანდერსონი, შოლი (სერჟინიო 107), ელბერი (ციკლერი 100), ეფენბერგი, სალიხამიჯიჩი, ჰარგრეივსი, ლინკე.
**ვალენსია:** კანისარესი, პელეგრინო, მენდიეტა, კარეუ, აიალა (ჯუკიჩი 87), კარბონი, სანჩესი (ზახოვიჩი 66), კილი გონსალესი, ბარახა, ანგლომა, აიმარი (ალბელდა 46).
***გოლები:*** 0-1 მენდიეტა (3 პ.), 1-1 ეფენბერგი (50 პ).
***პენალტები გაიტანეს:*** სალიხამიჯიჩმა, ციკლერმა, ეფენბერგმა, ლიზარაზუმ, ლინკემ; მენდიეტამ, კარეუმ, ბარახამ, გონსალესმა.
***გააფრთხილეს:*** ანდერსონი, კარბონი, გონსალესი, კანისარესი.
***მსაჯი:*** დიკ იოლი (ჰოლანდია).





## კაცია კანი, დიდი კაცია

ევროპული საკლუბო სეზონი დიდი ფინალით დასრულდა. როგორც იქნა, „ბაიერნმა“ მოიგო. გაიმარჯვა მომქანცველ, უკომპრომისო ორთაბრძოლაში. ჰიტცფელდმა მწვრთნელობისას მეორედ მოიპოვა ჩემპიონთა თასი, ბაიერნმა — მეოთხედ. მატჩს დრამატული დასაწყისი უძღოდა წინ, ფინიში კი არანაკლებ დრამატული, შეიძლება ითქვას, ტრაგიკულიც კი, ოღონდ არა გერმანელებისთვის. „ვალენსიას“ მწვრთნელისთვის, კუპერისთვის, რომელიც ამთავრებს თავის სამწლიან მოღვაწეობას კლუბში კი, ნაღდად ასეა. სამჯერ გაიყვანო გუნდი ფინალში და ვერც ერთი მოიგო. უიღბლობაც ამას ჰქვია.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად სამი პენალტის მომგერიებელი „ბაიერნის“ მეკარე ოლივერ კანი აღიარეს, დღეს ევროპასა და ალბათ, მსოფლიოშიც საუკეთესო მეკარე. „ბაიერნი“ ევროპის საკლუბო ჩემპიონია. ჰიტცფელდი კი ტიტულების მომხვეჭელი, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, იგი იმარჯვებს, იგებს „ბაიერნი“, ხარობს გერმანია.

მომენტები განვლილი მატჩიდან: «ბაიერნი» — «ვალენსია»

## კვლავ 32 კლუბი

მას შემდეგ, რაც ჩემპიონთა ლიგის შემადგენლობა 32 კლუბამდე გაიზარდა, ეს გადაწყვეტილება ბევრს არ მოეწონა. თვლიდნენ, რომ წინასწარ ჯგუფებში საკმაოდ ბევრი სუსტი გუნდი ასპარეზობდა, მატჩების ნაწილმა ინტერესი დაკარგა.

2000-2001 წლების ჩემპიონთა ლიგის გათამაშებამ ეს კრიტიკული შეხედულება არ დაადასტურა. უეფას სამდივნოს ცნობით, 2001-2002 წლების გათამაშებაში ისევ 32 კლუბი იქნება.





# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## რანიერი: იტალიური ფეხბურთი ძალიან პრაგმატულია

იტალიელი სპეციალისტი, ლონდონის „ჩელსის“ ახლანდელი მწვრთნელი, 50 წლის კლაუდიო რანიერი კარგად ცნობილი პიროვნებაა ფეხბურთის სამყაროში. 1996 წელს მისი ხელმძღვანელობით „ფიორენტინა“ იტალიის თასს დაეუფლა, ამავე წელს ქვეყნის სუპერთასიც დაისაკუთრა. ამის შემდეგ იგი ესპანეთში გადავიდა, სადაც სამი წლის განმავლობაში „ვალენსიას“ წვრთნიდა, ახლა რომ ექტორ კუპერის ხელმძღვანელობით ასეთ მწვერვალებს მიაღწია.

კლაუდიო რანიერის ესაუბრება იტალიური „კორიერე დელა სერას“ კორესპონდენტი პაულა დე კაროლისი.

● ***ეს სეზონი იტალიური კლუბებისათვის ევროპულ ასპარეზზე წარუმატებელი გამოდგა.***

— მოდით დავაზუსტოთ: ეს უკვე ზედიზედ მეორე წელიწადია, რაც ხდება. ამიტომ ჩვენ თვითონვე უნდა დავუსვათ საკუთარ თავს რამდენიმე კითხვა. მე ახლა იტალიურ ფეხბურთს სხვა ქვეყნიდან ვადევნებ თვალყურს და მინდა ვთქვა, რომ ჩვენ, იტალიელები, თამაშისას უკიდურესობამდე მივედით. ვისაც ბურთი აქვს, ის მაშინვე თავდამსხმელს გადასცემს, მეკარეც ცდილობს, რაც შეიძლება, შორს დაარტყას, რათა იგი ფორვარდმა მიიღოს. მე იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი ფეხბურთი ძალიან პრაგმატულია. მრავალი წლის განმავლობაში ჩვენ ფეხბურთის სამყაროში ბატონ-პატრონები ვიყავით, ჩვენი შურდათ, ჩვენი ასლის შექმნასაც კი ცდილობდნენ. ახლა კი უნდა ვაღიაროთ სხვა ჩემპიონატების უპირატესობა. დაახლოებით იგივე დაემართათ გერმანელებს: თავის დროზე ყველა ოცნებობდა მათ დამარცხებას. ახლა გერმანელები სევდით იგონებენ იმ დროს.

● ***რატომ ხდება ყველაფერი ეს იტალიაში და არა, ვთქვათ, ესპანეთში?***

— იტალიის ჩემპიონატში უკანასკნელ ხანებში ეძებდნენ ნახევარმცველებს, რომლებსაც შეეძლოთ ბურთის წართმევა, პარტნიორების დაზღვევა, ორი მოთამაშის მაგივრად რბენა და მუშაობა, ამასთან ჩვენ არ ვმუშაობდით თამაშის ორი საკვანძო კომპონენტის სრულყოფის მიზნით. ეს გახლავთ უკანასკნელი პასის ხელოვნება და კომბინაციური თამაშის წარმოება. როცა ჩვენი მოთამაშეების ფიზიკური მზადყოფნა სათანადო დონეზეა, როცა შეუძლიათ სწრაფად ითამაშონ, მაშინ მათ ყველას შეუძლია გაუწიონ კონკურენცია ნებისმიერ დონეზე. როცა ეს ფიზიკური მზადყოფნა არა გვაქვს, მაშინ დიდ სიძნელეებს განვიცდით.

● ***ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფეხბურთს იტალიასა და ესპანეთში სხვადასხვა სცენარით თამაშობენ?***

— დიახ, შეგვიძლია ვთქვათ. ესპანეთში ფეხბურთის თამაშის განსხვავებული კულტურაა. იქ ყველას, გულშემატკივრებიდან დაწყებული და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებით დამთავრებული, ერთი რამე სურს: გუნდს დიდხანს ჰქონდეს ბურთზე კონტროლი, რომ გოლი მრავალსვლიანი კომბინაციების შედეგად გავიდეს. ესპანელებისათვის მატჩის მოგება იმას ნიშნავს, რომ მინდორზე ინიციატივას ფლობდე. იტალიაში ეს კონცეფცია რამდენადმე დავიწყებულია.

● ***იტალიაში ბევრს ლაპარაკობენ ექტორ კუპერზე, როგორც ისეთ მწვრთნელზე, რომელიც მალე შეიძლება სათავეში ჩაუდგეს რომელიმე ჩვენს კლუბს. თქვენ მას ხომ კარგად იცნობთ?***

— კუპერი კარგად მუშაობდა „ვალენსიაში“. ვფიქრობ, მას უნდა მიეცეს საშუალება თავისი სამწვრთნელო ხელოვნება მსოფლიოს ყველაზე რთულ ჩემპიონატშიც უჩვენოს.

● ***თქვენ „რომაელი სერჟანტი“ დაგარქვეს. ალბათ, იმიტომ, რომ ძალიან მკაცრი ხართ...***

— მე მიყვარს ჩემი პროფესია, მთელი გულით და სულით ვმუშაობ. მე მიყვარს ღიმილით მუშაობა, მაგრამ მომთხოვნიც ვარ. როცა სერიოზული მუშაობაა საჭირო, მე ფეხბურთელებისაგან კონცენტრაციასა და დისციპლინას მოვითხოვ. არა ვარ დარწმუნებული, რომ მაინცდამაინც „სერჟანტი“ უნდა მერქვას, მაგრამ ვიცი, რომ ფეხბურთელები ვარჯიშზე მწვრთნელის მაქსიმალური მომთხოვნელობის რწმენით უნდა მოვიდნენ. ისე კი, თუ გახუმრებაა საჭირო, ეს მე არ გამიჭირდება. მე ხომ რომაელი ვარ, თქვენ იცით, რას ნიშნავს ეს. შემიძლია ვიხუმრო იტალიურად, ინგლისურად, ესპანურად, ამისთვის ყველა ენა გამოდგება.

მოამზადა
ბიბი თორელმა

## შემდეგში მსაჯობა კიდევ უფრო... ...გაუარესდება!

ის, რაც ამ დღეებში კრასნოდარში მოხდა, ეტყობა, უჩვეულოა ამ ქალაქის ისტორიაში. „ყუბანისა“ და ჩიტის „ლოკომოტივის“ მატჩში მასპინძლებმა გოლი გაიტანეს, რომელიც ჩაითვალა კიდეც. „ყუბანის“ მწვრთნელ ოლეგ დოლმატოვის აზრით, წესების რაიმე დარღვევა არ ყოფილა, „ლოკომოტივის“ მწვრთნელი ალექსანდრ კოვალიოვი კი თვლიდა, რომ თავდამსხმელი თამაშგარე მდგომარეობაში იყო.

ჩიტის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმა კი თავისებური გადაწყვეტილება მიიღეს — ისინი შემოეხვივნენ მსაჯს ნიკიტინს, ურტყეს და ურტყეს. გუნდის კაპიტანმა ნედორეზოვმა მსაჯი ხელში აიყვანა და მიწაზე დაანარცხა.

***დოლმატოვი:*** „ამის მსგავსი ხულიგნობა ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს“. ***კოვალიოვი:*** „ჩვენ დიდი დრო გავიარეთ გზაში, სანამ ჩიტიდან კრასნოდარში ჩამოვიდოდით. და რა მივიღეთ? მსაჯები ჩემს ბიჭებს, უბრალოდ, რომ ვთქვათ, მინდორზე „კლავდნენ“. კოვალიოვმა დოლმატოვი იმით „დაამშვიდა“, რომ შემდეგში მსაჯობა პირველ დივიზიონში კიდევ უფრო... გაუარესდება!

## ვლადიმირ ფედოტოვი – „არსენალის“ მწვრთნელი

**ცნობილი მწვრთნელი ვლადიმირ ფედოტოვი დაინიშნა რუსეთის პირველი დივიზიონის კლუბის, ტულის „არსენალის“ ხელმძღვანელად ვალერი ტრეტიაკოვის ნაცვლად.**

**ტულის „არსენალი“ წლევანდელ სეზონში ჩემპიონატში მარცხიანად თამაშობს.**

## იცით, როგორი შეფარდებაა?

მიყრუებული ბასკური ქალაქის ვიტორიის „ალავესის“ ფინანსური შესაძლებლობები, გნებავთ, ესპანური, გნებავთ სხვა ევროპული ქვეყნის განზომილებებით, ისე მინიმალურია, რომ მისი წლიური ბიუჯეტი სამჯერ ნაკლებია მხოლოდ ერთი, მაიკლ ოუენის სატრანსფერო ღირებულებისაგან.

ამის შემდეგ „ალავესის“ წლევანდელი მიღწევები მიმომხილველებს ნამდვილად ტრიუმფულად მიაჩნიათ.

## რატომ გადაიდო მსოფლიო ჩემპიონატი კლუბებს შორის

**მადრიდის „რეალის“ დირექტორმა ხორხე ვალდანომ მკაცრად გააკრიტიკა ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი. მსოფლიოს მეორე ჩემპიონატის გადადებისათვის კლუბებს შორის ეს შეჯიბრება ზაფხულში ესპანეთში უნდა ჩატარებულიყო, ახლა კი გადაიდო გაურკვეველი დროით, ზოგი ცნობით, 2003 წლის ზაფხულისათვის.**

**ბლატერმა, რომელიც ადრე თვით იყო მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ჩატარების ინიციატორი, გადადების რამდენიმე მიზეზი დაასახელა, მათ რიცხვში ფინანსური სიძნელეები, რომელსაც ფიფა განიცდის.**

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

# გამარჯვებული, რომელსაც კრიზისი დაეწყო?

### ინგლისის ჩემპიონატის შედეგები

სერ ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჯერ კიდევ ზამთარში იმდენი ქულა მოაგროვა, რომ უკვე ეჭვი აღარავის ეპარებოდა — იგი მე-14-ჯერ გახდებოდა ინგლისის ჩემპიონი. რაც შეეხება საკითხის ფორმალურ მხარეს, მას „ხელი მოეწერა“ პირველობის დამთავრებამდე 5 ტურით ადრე, როცა XXXIII ტურში „იუნაიტედის“ მთავარი მეტოქე, ლონდონის „არსენალი“ საკუთარ მინდორზე მოულოდნელად დამარცხდა „მიდლსბროსთან“ — 0-3. ჩემპიონი კი გამოვლინდა, მაგრამ ყველა სხვა საკითხი, ცხადია, გადასაწყვეტი დარჩა.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მორიგი წარმატება, გარეგნულად, ცხადია, მეტად დამაჯერებელია. მარტო მეორე პრიზიორის ლონდონის „არსენალის“ მთელი 10 ქულით ჩამოტოვება რად ღირს. მაშ, ასე: 80 ქულა, 24 მოგება, 8 ფრე, 6 წაგება, ბურთების მშვენიერი სხვაობა — 79-31. ამასთან, ფერგიუსონი ერთ რამესაც აღნიშნავდა: „მე ვეღარ მოვახერხე მოთამაშეების სათანადო დონეზე განწყობა“. ეს მან „მანჩესტერ სიტისთან“ ფრეს — 1-1 შემდეგ თქვა, როცა მიზანი უკვე მიღწეული იყო, მაგრამ მწვრთნელის ასეთი განცხადება ყველა მომდევნო მატჩისაც ეხებოდა. ძალიან ძნელია მოთამაშეების სრული ძალით მობილიზება, როცა გუნდი უკვე ჩემპიონია, თუმცა ეს ამ შემთხვევაში უკვე მეორეხარისხოვანი საკითხი იყო...

ინგლისელ გულშემატკივრებს სულ სხვა საკითხი აღელვებდათ: ევროპულ ასპარეზზე „მანჩესტერ იუნაიტედი“ არ არის არც მიუნხენის „ბაიერნის“, არც მადრიდის „რეალის“ თანაბარი პარტნიორი. თავი დავანებოთ იმ შემთხვევით გამარჯვებას, რომელიც ორი წლის წინათ ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში გერმანელებთან მოიპოვა. წელს ხომ „ბაიერნმა“ დამაჯერებლად გაიმარჯვა როგორც მანჩესტერში, ისე საკუთარ მინდორზე. ფერგიუსონის აქამდე აწყობილ ანსამბლში რაღაც მოიშალა, საჭიროა ცალკეული „დეტალების“ შეცვლა. ამასთან, ინგლისელი ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ მთავარი მწვრთნელი დაბერდა და არაფრის შეცვლა უკვე აღარ ძალუძს. ის კი თავის პოსტზე დარჩენას კიდევ ერთ წელს, 2001-2002 წლების სეზონშიც აპირებს. ვიღას აღარ ასახელებენ ახლა ფერგიუსონის შემცვლელად. აქ უნდა მოვიდეს მწვრთნელი გარანტიებით, სპეციალისტი, რომელიც ევროპაში პირველობას შეეცდება, მაგრამ სად გნებავთ იპოვოთ ასეთი პიროვნება?

ლონდონის „არსენალმა“ შესაძლოა, საკუთარ თავს ფინიშზე რამდენადმე მოდუნების საშუალება მისცა, მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ პირველ ადგილს ვერ დაიკავებდა, მეორე კი არსად გაექცეოდა. 70 ქულა, 20 მოგება, 10 ფრე, 8 წაგება, ბურთები 63-38. ფრანგ სპეციალისტს ინგლისში დიდი ავტორიტეტი აქვს და ერთ მომენტში მას ნაკრების მწვრთნელობასაც კი სთავაზობდნენ. „არსენალის“ ქომაგებს მის მიმართაც აქვთ დიდი პრეტენზია: როგორ გავიგოთ 1-6 მანჩესტერში უშუალო მეტოქესთან, მძიმე დამარცხება „ლივერპულთან“, ორი დამამცირებელი წაგება ჩემპიონთა ლიგაში. მოსკოვის „სპარტაკსა“ და დონეცკის „შახტართან“, კლუბებთან, რომელთა ავტორიტეტი ფეხბურთის სამყაროში ლონდონელებისას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეედრება? არ შეიძლება იმის თქმაც, რომ ვენგერს ყველა საკითხი მოგვარებული ჰქონდეს თავის ფეხბურთელებთან: მისი ფავორიტი ანრი ყველა იმედს ამართლებს, ვილტორი და კანუ კი ხშირად უკმაყოფილებას იწვევენ და თვითონაც უკმაყოფილონი არიან. ნვანკო კანუს აგენტმა ვენგერს ულტიმატუმითაც კი მიმართა: ნიგერიელი დატოვებს გუნდს, თუკი მას ძირითად შემადგენლობაში გამოსვლის მტკიცე გარანტია არ ექნება. დავუმატოთ ამას ერთი თავისებური სიძნელეც: ბერხკამპს თვითმფრინავში ჩაჯდომის საშინელი შიში აქვს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთელ რიგ მატჩებში გუნდს მისი თამაშის იმედი არ შეიძლება ჰქონდეს.

ინგლისის ჩემპიონატიდან ჩემპიონთა ლიგაში, როგორც ცნობილია, სამი კლუბი გადის. თუ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ და „არსენალმა“ ადრევე მოიპოვეს ეს უფლება, მესამე საგზურისათვის ბრძოლა უკანასკნელ მომენტამდე მიმდინარეობდა. საბოლოოდ იგი, ეტყობა, სრულიად დამსახურებულად, „ლივერპულს“ დარჩა (მესამე ადგილი 69 ქულით, 20 მოგება, 9 ფრე, 9 წაგება, ბურთები 64-43. ეს სეზონი ამ სახელოვანი კლუბისათვის მართლაც რომ ძალიან კარგი გამოდგა: გაიმარჯვა უეფას თასზე (მარტო ეს წარმატება რად ღირდა!), მოიგო არა მარტო ინგლისის თასი, არამედ ინგლისის ლიგის თასიც. ფრანგი ჟერარ ულიე დიდხანს მეტად უიღბლო მწვრთნელად ითვლებოდა. გახსოვთ, საფრანგეთის ნაკრების სათავეში ყოფნისას, მის გუნდს მსოფლიო პირველობაზე გამგზავრების თითქმის სრული გარანტია ჰქონდა, მაგრამ საკუთარ მინდორზე (!) ზედიზედ წააგო ბულგარეთისა და ისრაელის ნაკრებებთან. ამის შემდეგ ულიე, საფრანგეთის ნაკრებს, რა თქმა უნდა, საბოლოოდ გამოეთხოვა, მისი მიწვევა „ლივერპულში“ თუნდაც ორი მთავარი მწვრთნელიდან ერთ-ერთის (როი ევანსთან ერთად) ბევრს გაუკვირდა, მაგრამ წლევანდელმა ბრწყინვალე სეზონმა ყველაფერი ერთად აანაზღაურა.

„ბავშვების გუნდად“ წოდებული „ლიდს იუნაიტედი“ (მეოთხე ადგილი, 68 ქულა, 20 მოგება, 8 ფრე, 10 წაგება, ბურთები 64-43) ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალამდე კი მივიდა, რაც თავისთავად დიდი წარმატებაა, მაგრამ ამავე შეჯიბრებაში თამაშის უფლება ახლა უკვე აღარა აქვს — უეფას თასზე უნდა გამოვიდეს. პირველი დივიზიონიდან დაბრუნებულმა „იფსვიჩ თაუნმა“ მაღალი მეხუთე ადგილი დაიკავა (66 ქულა, 20 მოგება, 6 ფრე, 12 წაგება, 57-42). „არისტოკრატების კლუბის“, ლონდონის „ჩელსის“ მეექვსე ადგილი (61 ქულა, 17 მოგება, 10 ფრე, 11 წაგება, 68-45) კი, რა თქმა უნდა, მის მრავალრიცხოვან ქომაგებს არავითარ შემთხვევაში არ აკმაყოფილებთ.

ორიოდე სიტყვა იმ კლუბებზე, რომლებსაც პრემიერ-ლიგის დატოვება მოუწევთ. „ბრედფორდი“ (ბოლო ადგილი 26 ქულით), ექსპერტების აზრით, სეზონის დაწყებიდანვე განწირული იყო. რატომ? იმიტომ, რომ მისი შემადგენლობა პრემიერ-ლიგის დონეს ნამდვილად არ შეეფერებოდა. შუა სეზონში ახალი მთავარი მწვრთნელის, ჯიმ ჯეფრისის მოსვლას, ცხადია, არაფერი შეუცვლია. მაღალი კლასის მოთამაშეები საკმაოდ ჰყავდათ როგორც „ქოვენთრი სიტის“ (მეცხრამეტე ადგილი, 34 ქულა), ისე „მანჩესტერ სიტის“ (მეთვრამეტე, 34 ქულა). ამასთან, როგორც გორდონ სტრაჩანის „ქოვენთრის“, ისე ჯოი როილის „მანჩესტერ სიტისაც“ აშკარად აკლდათ სიმტკიცე და სიმყარე. ფიქრობენ, რომ მათზე გაცილებით უკეთ თამაშობს პირველ დივიზიონში გამარჯვებული ლონდონის „ფულჰემი“, რომელიც ეგვიპტელ მულტიმილიონერ მუჰამედ ელ-ფაიედის ფულით შექმნა ახლო წარსულში ფართოდ ცნობილმა ფრანგმა ფეხბურთელმა ჟან ტიგანამ, თუმცა ეს, როგორც იტყვიან, უფრო სხვა საუბრის თემაა.



«სანდერლენდი» — «მანჩესტერ იუნაიტედი»



«ლესტერი» — «ლიდსი»

**ბიჭი გამრეკელი**

# როცა ისტორია გამეორდა

## გერმანიის ჩემპიონატის შედეგები

გერმანიის 2000-2001 წლების ჩემპიონატში საოცრად გამეორდა შარშანდელი ისტორია: მიუნხენის „ბაიერნმა“ სულ უკანასკნელ მომენტში შეინარჩუნა ჩემპიონობა, უფრო ზუსტად კი, ზედიზედ მესამედ მოიპოვა იგი. შარშან იგი, ისევ უკანასკნელ მომენტში (!) იხსნა მიუნხენის გარეუბნის (ასე ვთქვათ, თანაქალაქელმა) კლუბმა „უნტერჰახინგმა“, რომელმაც მოუგო ლევერკუზენის „ბაიერს“. წლევანდელ ბოლო ტურში პირველ ბუნდესლიგას უკვე გამოთხოვებული საგარეუბნო კლუბი „შალკე 04“-ს ხვდებოდა, წააგო 3-5, და, როგორც იტყვიან, კარები ვერ მიიჯახუნა. „ბაიერმა“ კი, როგორც ვთქვით, დიდი გაჭირვებით მიაღწია ფრეს (1-1) ჰამბურგში და 63 ქულით პირველი ადგილი დაიკავა.



ის, რომ „ბაიერნი“ გერმანიის უძლიერესი კლუბია, ამაზე არავინ დავობს. მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ მას ამჯერად უმძაფრესი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა. ჯერ ერთი, ორივე მატჩი წააგო მეორე ადგილზე 62 ქულით გასულ „შალკე 04“-თან, ამასთან, ბურთების უარესი სხვაობაც აქვს: 62-37. „შალკეს“ კი 65-35.

თუ გულშემატკივრები უკვე კარგა ხანია შეეჩვივნენ „ბაიერნის“ წარმატებებს, „შალკე 04“-ის მიღწევა შეიძლება ბევრისთვის მოულოდნელიც კი იყო. საკმარისია აღინიშნოს, რომ გელზენკირხენის კლუბი ქვეყნის ჩემპიონი უკანასკნელად 1958 წელს გახდა, როცა პროფესიული ლიგა გერმანიაში არ არსებობდა, ახლანდელი მწვრთნელი, ჰოლანდიელი ჰუუბ სტევენსი კი სულ 5 წლისა იყო. სტევენსმა „შალკე“ 1996 წლის შემოდგომაზე ჩაიბარა, 7 თვის შემდეგ კი გასაოცარ, კლუბის ისტორიაში უდიდეს წარმატებას მიაღწია — უეფას თასს დაეუფლა. მართალია, ბუნდესლიგაში „შალკე 04-ს დიდხანს წარმატებები არა ჰქონია. საკმარისია აღინიშნოს, რომ შარშანდელ ჩემპიონატში იგი მხოლოდ მე-13 ადგილზე გავიდა. ახლანდელი შემადგენლობა, ბევრი ექსპერტის აზრით, „საჩემპიონო“ იყო. იგი ხომ ბრწყინვალე სტილით გაუსწორდა ყველა შესაძლებელ კონკურენტს: „ბაიერს“, „კაიზერსლაუტერნს“, „ბაიერნსა“ და „ჰერტას“, თუმცა უკანასკნელისწინა ტურში მარცხმა მაინც დააკარგვინა პირველი ადგილი. ახლანდელი მიღწევა — ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლების მოპოვება, მაინც ფრიად თვალსაჩინოა. გელზენკირხენელების კლუბის შემადგენლობა თანაბრად არის დაკომპლექტებული, მაგრამ მაინც შეიძლება ძლიერი დუეტის: ებე სანდისა და ემილ მპენზას გამოყოფა — ამ თავდამსხმელებს შესანიშნავად წარმართავს ცნობილი დირიჟორი ანდრეას მიოლერი.

დორტმუნდის „ბორუსიის“ მესამე ადგილი (58 ქულა, 62-42) ამ გუნდისათვის გარკვეული წარმატებაა და ახალგაზრდა მწვრთნელ მათიას ზამერს კარგ შედეგად ჩაეთვლება, მით უმეტეს, რომ კლუბს მეტის მიღწევა არ შეეძლო. „ბაიერნიც“ და „შალკეც დღეისათვის, რა თქმა უნდა, უფრო ძლიერები არიან. მეორე მხრივ, მდიდარ „ბორუსიას“ მესამე ადგილით დაკმაყოფილება არა სურს და გაისისათვის რამდენიმე ძლიერი ოსტატის შეძენასაც აპირებს. მეორე ადგილით (57 ქულა, 54-40) ძალზე უკმაყოფილონი არიან ლევერკუზენის „ბაიერის“ მესვეურებიც და ქომაგებიც. ამ კლუბში ბერტი ფოგტსის მოსვლას დასაწყისში მოწონებით შეხვდნენ, მაგრამ შემდეგ მრავალნაცად და მრავალტანჯულ მწვრთნელს საქმეები ცუდად წაუვიდა. ლევერკუზენელი ფანატები სტადიონზე პლაკატებით მოდიოდნენ, სადაც ეწერა: „ბერტი პირდაპირი გზით გადაგვიყვანს მესამე ლიგაში“. „ბაიერის“ პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი იძულებული გახდა განეცხადებინა: „ფოგტსი ყველა შემთხვევაში სეზონის ბოლომდე იმუშავებს“. ახლა ნათელი არ არის, როგორი იქნება ფოგტსის მომავალი, თუმცა მისი კონტრაქტი მხოლოდ 2003 წლის ივნისში მთავრდება.



«ბავარია» — «შალკე»



ზამერი

თუ ბერლინის „ჰერტასათვის“ მეხუთე ადგილი (56 ქულა, 58-52), ასე ვთქვათ, ჩვეულებრივი შედეგია, „ფრაიბურგის“ მეექვსე ადგილი (55 ქულა, 15 მოგება, 10 ფრე, 9 წაგება) ამ მოკრძალებული მატერიალური შესაძლებლობების კლუბისათვის უდიდეს წარმატებად უნდა ჩაითვალოს მთელი მისი არსებობის ისტორიაში. ლევან კობიაშვილი გერმანელ ექსპერტებს ბუნდესლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველად მიაჩნიათ, შესანიშნავად თამაშობდა ალექსანდრე იაშვილი, თუმცა სეზონის მიწურულისთვის სერიოზულად დაშავდა და ახლა მკურნალობს. გარდა ამისა, „ფრაიბურგში“ ხომ ლევან ცქიტიშვილი და გიორგი კიკნაძეც თამაშობენ. უეფას თასზე თამაშის უფლების მოპოვება ამ პატარა ქალაქის გუნდს უდავო სტიმულს აძლევს.

თუ „ბოხუმი“ (27 ქულა) თითქმის მთელი სეზონის მანძილზე, მცირეოდენი „გამოღვიძება“ რომ არ გავითვალისწინოთ, განწირულად გამოიყურებოდა, ბოლო მომენტამდე გაიბრძოლეს „უნტერჰახინგმა“ და მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტმა“ (35-35 ქულა), მაგრამ, რომ იტყვიან, თავს ზევით ძალა არ იყო. ამასთან, მიმომხილველებმა ისიც გაიხსენეს, რომ წინა ჩემპიონატებში „აინტრაჰტი“ ერთხელ გადარჩა, მეორედ და ბოლოს, რამდენჯერ უნდა გადარჩენილიყო... ახლა მათ ნაცვლად პირველ ბუნდესლიგაში „ნიურნბერგი“, „ბორუსია“ (მენხენგლადბახი) და „სანკტ-პაული“ (ჰამბურგი) ითამაშებენ.

**ბიჭი გამრეკელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს ერთმანეთს ხვდებიან კასპაროვი და კრამნიკი

ასტანის (ყაზახეთი) სარეკორდო, XX კატეგორიის ტურნირი საკმაოდ ხანმოკლეა (სულ 10 ტურია), მაგრამ მსოფლიო ჩემპიონ ვლადიმირ კრამნიკისა და მსოფლიოს ექსჩემპიონ გარი კასპაროვის მონაწილეობის გამო უდიდეს ინტერესს იწვევს.

მეორე ტურში კრამნიკმა მოუგო ყაზახ დიდოსტატ დარმენ სადვაკასოვს, შიროვმა — მოროზევიჩს, ხოლო კასპაროვმა ყაიმით დაასრულა შეხვედრა გელფანდთან და ნახევარი ქულით ჩამორჩა კრამნიკს.

მესამე ტურში მათ შორის წონასწორობა აღდგა. კასპაროვმა შავებით მოუგო მოროზევიჩს, კრამნიკმა თეთრებით ყაიმით დაასრულა შეხვედრა შიროვთან, ხოლო გელფანდმა მოუგო სადვაკასოვს.

ამრიგად, კასპაროვსა და კრამნიკს 2,5-2,5 ქულა აქვთ და დღეს მეოთხე ტურში ერთმანეთს ხვდებიან. თეთრებით თამაშობს კასპაროვი.

## ანანდის გამარჯვება


ანანდი

მერიდაში (მექსიკა) დამთავრდა „ოთხთა ტურნირი" (ორ წრედ), რომელშიც 4 დიდოსტატი: მსოფლიოს 2000 წლის ჩემპიონი ფიდეს ვერსიით ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), მსოფლიოს 1999 წლის ჩემპიონი ფიდეს ვერსიით ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი), ნაიჯელ შორტი (ინგლისი) და ჰილბერტო ერნანდესი (მექსიკა) მონაწილეობდნენ.

ტურნირში დამაჯერებლად გაიმარჯვა ანანდმა, რომელმაც 6 შესაძლებლიდან 4,5 ქულა მოაგროვა. შორტმა 3,5 ქულით დაამთავრა შეჯიბრება, ხალიფმანს 3 ქულა აქვს, ერნანდესს – 1 ქულა.

## ბულგარელები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს...

...პირველი ადგილისთვის ბრძოლაში სარაევოში (ბოსნია და ჰერცოგოვინა), სადაც XVI კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი დამთავრდა.

პირველი ადგილი 9 შესაძლებლიდან 6,5 ქულით დაიკავა კირილ გეორგიევმა (ბულგარეთი), რომელმაც ნახევარი ქულით გაასწრო თავის თანამემამულე ვესელინ ტოპალოვს.

3-4. ილია სმირინი (ისრაელი) და ალექსეი შიროვი (რუსეთი) — 5,5-5,5 ქულა. 5-7. ემირ დიზდარევიჩი, ივან სოკოლოვი (ორივე — ბოსნია და ჰერცოგოვინა), ზდენკო კოჟული (ხორვატია) — 4-4 ქულა, 8. სერგო მოვსესიანი (ჩეხეთი) — 3,5, 9-10. სუატ ატალიკი და ბოიან კურაიცა (ორივე — ბოსნია და ჰერცოგოვინა) — 3-3 ქულა.

## „ჯირო" 2001

„ჯირო დ'იტალიის" მრავალდღიანი ველორბოლის მეოთხე ეტაპი იტალიელმა ველომრბოლმა დანილო დი ლუკამ მოიგო. მისი გამარჯვება 169 კილომეტრიან დისტანციაზე „კანტინა ტოლოს" გუნდის გამართული ტაქტიკური მუშაობის შედეგია.

ლიდერის ნარინჯისფერი მაისური ჩამოართვეს ბელგიელ რიკ ვერბრიუგეს, იგი დაეცა და ტურის გამარჯვებულს 4 წუთითა და 39 წამით ჩამორჩა. ველორბოლის ახალი ლიდერი გახდა „ფასა ბორტოლოს" გუნდის წევრი იტალიელი დარიო ფრიგო.

**«ჯირო დ'იტალიის» 84-ე ველორბოლა**

***მეოთხე ეტაპი, პოტენცა — მონტევერჯინე — დი მერკოლიანო. 169 კმ:*** 1. დანილო დი ლუკა (იტალია, „კანტინა ტოლო") — 4:34.12 (საშუალო სიჩქარე 36,98 კმ), 2. ჯილბერტო სიმონი (იტალია, „ლიამპრე"), 3. სტეფანო გარცელი (იტალია „მაპეი"). ***საერთო ჩათვლა:*** 1. დარიო ფრიმო (იტალია „ფასა ბორტოლო") 17:21.19, 2. აბრაამ ოლანო (ესპანეთი „ონსე") +12, 3. სიმონი (იტალია, „ლიამპრე") +13.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

**სპორტი ცისფერ ეკრანზე 25-27 მაისი**

**25 მაისი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ოვერტაიმი (19.25), ***რუსთავი-2,*** ევროპის საფეხბურთო მიმოხილვა (15.20), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (10.45, 20.00), ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის (12.00), იტალიის (23.00) ჩემპიონატების მიმოხილვა. კალათბურთი. ნბა (15.00, 22.00, 05.30, 06.00 — ნახევარფინალები, პირდაპირი), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი: იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი (16.00, 19.45, 21.15, 23.00, 3.15), კრივი. საერთაშორისო მატჩი (17.30), ფორმულა-3000. ფიას ჩემპიონატი (19.00, 20.30). ***НТВ плюс футбол.*** გერმანიის (14.30), ჰოლანდიის (17.30, 23.35), იტალიის (1.20) ჩემპიონატები და მიმოხილვა. მსოფლიო ფეხბურთი (16.45), ევროპის ფეხბურთი (20.00), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (21.00), ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. ასტანის სუპერტურნირი (14.40), კალათბურთი. ნბას მიმოხილვა (15.40, 20.00), კარატე. დაიდო-ჯუკუ, კარატე-დო (17.45), ტაილანდური კრივი (21.00).

**26 მაისი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** 17.00 — მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საზეიმო გახსნის პირდაპირი რეპორტაჟი. აქვე – 18.00 – საქართველოს თასის გათამაშების ფინალური მატჩი: „ლოკომოტივი" – „ტორპედო". ***რუსთავი-2.*** ფეხბურთი, ჩემპიონთა ლიგის საკვირაო მიმოხილვა (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (23.45), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***РТР.*** „ფორმულა-1". მონაკოს გრან-პრი (2.35), ***ESPN.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა, გამეორებით: „ვალენსია" – „ბაიერნი" (11.30), კალათბურთი. ნბა (14.30, 15.00, 02.30, პლეიოფების ნახევარფინალები). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი: ამხანაგური მატჩი, მონაკოდან (12.30), იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი (16.00, 19.00, 21.00, 2.15), საფრანგეთის ჩემპიონატი (0.00), „ფორმულა-3000" ფია-ს ჩემპიონატი, მონაკოდან (3.30). ***НТВ плюс футбол.*** ჰოლანდიის (13, 15, 15.45), ევროპის ქვეყნების (15.00), მსოფლიო ფეხბურთის (18.00), ჩემპიონთა ლიგის (19.30), იტალიის ან ესპანეთის (23, 25, 1.35) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა (4.00, 11.40, 23.00, პლეიოფები), ჭადრაკი. ასტანის სუპერტურნირი (14.50), კარატე. რუსეთის ჩემპიონატი (15.50).

**27 მაისი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (19.20), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი" (23.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (11.30), ***ESPN.*** კრივი. ლეგენდარული მოჰამედ ალი (11.30), კალათბურთი. ნბა-ს პლეი-ოფები (15.00), ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (18.30), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (22.30), ***EUROSPORT.*** სამთო ველორბოლა. მსოფლიო თასი (11.30), ფეხბურთი. იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი (12.00, 14.30, 21.00, 2.45), მოტოკროსი. მსოფლიო ჩემპიონატი (18.00), ***НТВ плюс футбол.*** ფეხბურთი: რუსეთის (15.00), იტალიის (15.40), ესპანეთის (17.25), მსოფლიო ფეხბურთის (19.35), ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის (20.05), იტალიის (23.25), ესპანეთის (1.35) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკი. ასტანის სუპერტურნირი (11.40), სპორტული ცეკვები. პროფესიონალთა გრან-პრი (12.10), ტაილანდური კრივი (1.15).

## პროფესიონალი ჩოგბურთელი ამჯობინებს... ფეხბურთს

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიონალ ჩოგბურთელ ხარელ ლევის თვალსაჩინო წარმატებები აქვს, ამასწინანდელ ტურნირში რომში პიტ სამპრასიც დაამარცხა, ფრანსისკო კლავეტიც და ნიკოლას კიფერიც, თავისი გატაცების საგნად მაინც ფეხბურთს თვლის. პრეს-კონფერენციაზე მან სრულიად მოულოდნელად განაცხადა, რომ კლუბ „მაკაბის" წაგებებს უფრო განიცდის, ვიდრე საკუთარი შეჯიბრებების შედეგებს.

## ჩოგბურთის ამბები

## მარტინა ჰინგისი: ჩვენ გლადიატორებს ვგავვართ

როგორც თანამედროვეობის №1-მა ჩოგბურთელმა ქალმა მარტინა ჰინგისმა განაცხადა, ყველა უკანასკნელ ტურნირს იგი უყურებდა, როგორც საწვრთნელ პროცესს საფრანგეთის ღია ჩემპიონატის, ანუ „როლან გაროსის" წინ, რომელიც 28 მაისს იხსნება.

მარტინას არასოდეს მოუგია „როლან გაროსი", მაგრამ ამჯერად ოპტიმისტურად არის განწყობილი. რომში ყოფნის დროს მან ნახა ფილმი „გლადიატორი" და თქვა:

— მე მინდოდა ჩემი საკუთარი თვალით მენახა კოლიზეუმი, „გლადიატორის" ნახვის შემდეგ კი სხვა თვალით შევხედე იტალიის დედაქალაქს. შთაბეჭდილება, რომ იტყვიან, ენით აუწერელია. ჩვენც, ისევე როგორც გლადიატორები, ყოველ დღე, მაყურებლების ყიჟინით, გამოვდივართ ასპარეზზე. მართალია, გლადიატორებისაგან განსხვავებით, ჩვენ არა გვჭირდება თავის გადასარჩენად ზრუნვა, რომის იმპერიის დროიდან ხომ ბევრი რამ შეიცვალა. დღეს ბრძოლა სიცოცხლის გადასარჩენად კი არ მიმდინარეობს, არამედ ფულისთვის.

## „მე უკვე შევეჩვიე უმაღლეს ეშელონს"

ბერლინის საერთაშორისო ტურნირში ახალგაზრდა ბელგიელმა ჟასტინ ხენინმა სენსაციურად სძლია ვენუს უილიამსს და განაცხადა.

— ადრე მე დიდი პატივისცემით ვექცეოდი უმაღლესი ეშელონის ჩოგბურთელებს, თუ გნებავთ, კიდევაც მეშინოდა მათი, ამიტომაც ვერ ვახერხებდი გამარჯვებას. ახლა მე უკვე დავრწმუნდი ჩემს ძალებში. როცა კორტზე გამოვდივარ, იმასაც კი ვფიქრობ, რომ ნებისმიერი მეტოქის დამარცხება ძალმიძს.

## კუერტენი - დაისვენებ ივნისის შუა რიცხვებიდან

როგორც ბრაზილიელმა გუსტავო კუერტენმა განაცხადა, იგი აპირებს საერთოდ გამოტოვოს „ბალახის სეზონი", რათა დაზიანებული ფეხები მოირჩინოს. ივნისის შუა რიცხვებიდან მოყოლებული, კუერტენი რამდენიმე შეჯიბრებას, მათ შორის უიმბლდონსაც, გამოტოვებს.

## პასუხს აგებინებენ

მარსელო რიოსი, რომელიც ოდესღაც მსოფლიოში №1 ჩოგბურთელად ითვლებოდა, ფეთქებადი ბუნების საკმაოდ გაუწონასწორებელი ადამიანია. მას შემდეგ, რაც რომის საერთაშორისო ტურნირის მეორე წრეში დამარცხდა, ტაქსის მძღოლს ცემა დაუწყო, შემდეგ კი პოლიციელებსაც მოხვდათ, რომლებიც მის დაშოშმინებას შეეცადნენ. ახლა რიოსს საქმე იტალიის სასამართლოსთან ექნება.


ჯონ მაკინროი

## მოუთმენლად ელი „როლან გაროსს"

ჭაბუკი ამერიკელი ენდიმ როდიკი, რომელმაც ამას წინათ ორი პირველი ტურნირი მოიგო თავის კარიერაში, ახლა მოუთმენლად ელის საფრანგეთის ღია ჩემპიონატის დასაწყისს (28 მაისს) „ეს არაჩვეულებრივი ტურნირია", — ამბობს იგი, — აქ ძალიან ბევრს ტაქტიკა გადაწყვეტს. როცა 12-14 წლისა ვიყავი, ხშირად ვთამაშობდი მიწის საფარზე. აქ ერთდროულად მომთმენიც უნდა იყო და აქტიურიც.

## ვეტერანთა ტურნირში გაიმარჯვა ჯონ მაკინროიმ

ვეტერან ჩოგბურთელთა მორიგი შეჯიბრება ნიუპორტში (აშშ) გაიმართა ფრიად მომქანცველ ორსაათიან ბრძოლაში. მან დაამარცხა ავსტრალიელი პატრიკ კეში — 7:6, 5:7, 10:8. — მე გადამწყვეტ მომენტში, უბრალოდ, ცოტათი უფრო იღბლიანი ვიყავი — განაცხადა მაკინრომ, რომელმაც 2000-2001 წლების სეზონში უკვე 8 ტურნირი მოიგო ვეტერანთა შორის — სრულიად ნათელია, რომ პატრიკი ჩოგბურთელების იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც ჩვენს ჩემპიონატებში ამ მოკლე ხანში გადამწყვეტ როლს ითამაშებს.

ვეტერანების მორიგი ტურნირი 19-22 ივლისს ფინეთში გაიმართება, სულ კი წელს ასეთი 17 შეჯიბრებაა გათვალისწინებული.

## მოვალეთა საყურადღებოდ!

დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით, გაზეთ „ლელოს" უშუალოდ რედაქციიდან მიწოდება 1 ივნისიდან შეუწყდება ყველა სპორტულ ორგანიზაციას, რომლებსაც დაფარული არა აქვთ შარშანდელი და მიმდინარე წლის როგორც გაზეთის, ისე რეკლამა-განცხადებების დავალიანება.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა სამძიმარს უცხადებს თბილისის მერიის სპორტის, სკოლისგარეშე ფიზიკური აღზრდის და ტურიზმის საქალაქო სამსახურთან არსებული ტანვარჯიშის სპორტის სახეობათა სპორტული სკოლის დირექტორს როზა ბერიკაშვილს და ლაშა გახარიას შვილის

პაპუნა გახარიას

გარდაცვალების გამო.

ნარგიზა მესხი, მარინე თარხნიშვილი, ვლადიმერ კანკავა, მერაბ მეტრეველი თანაგრძნობას უცხადებენ როზა ბერიკაშვილს და ლაშა გახარიას შვილის

პაპუნა გახარიას

გარდაცვალების გამო.

## კროსვორდი № 40



**თარაზულად:** 7. არგენტინელი ფეხბურთელი — მეკარე, 8. თურქეთის საფ. კლუბი, 10. ცნობილი ქართველი ხელბურთელი-ლეგიონერი, 11. პარტია ჩოგბურთში, 12. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 13. სასკოლო სპორტული ინვენტარი, 14. ფეხბურთში 2002 წლის მს. ჩემპიონატის მასპინძელი ერთ-ერთი ქვეყანა, 15. საავტომობილო რბოლის სახეობა, 16. ფრანგი ფეხბურთელი.

**შვეულად:** ჩეხეთის საფ. კლუბი, 2. ქართველი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, 3. ლიბერიელი ფეხბურთელი, 4. ცურვის ყაიდა, 5. თანამედროვე ქართველი კალათბურთელი, 6. ტანვარჯიშული იარაღი, 9. ფეხბურთელი — ყოფილი თბ. დინამოელი, 13. ცნობილი რუსი ჰოკეისტი, თამაშობს კანადაში.

## №39 კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 4. სამხტომი, 6. ფორა, 8. ფრე, 9. „ევერტონი", 10. დევაძე, 11. მილანი, 13. ლოუ, 14. ლილი, 15. კრახი, 20. კარელინი, 21. პანკარო, 22. დიომინი, 24. ნეტო, 25. არენა, 26. ტრიუკი, 27. ბირთვი. **შვეულად:** 1. „ოსერი", 2. ნოა, 3. ფონტენი, 5. ხერგიანი, 7. „კიოლნი", 10. დელტოპლანი, 11. „მარსელი", 12. ლახტი, 16. კრამნიკი, 17. „სკონტო", 18. „სიონი", 19. ანა, 23. იოუენი.

## საჭადრაკო ამოცანა

რაინდ მინდაძე

„პრობლემ", 1971 წ.



<u>შამათი 3 სვლაში</u>

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. კg2!
1. ...მფ:d5 2. მd4+ მფ:d4 3. ე:d6X.
1. ...კ – 2. მd2+ მფd4 3. მ:b3X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.